მესამე წელიწადი | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 5 ივნისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 20

## ჟურნალის შინაარსი

ინგლისის იმპერიალიზმი სამხრად ირაზმება—**ალ. ხელაძე**; ვინ ჯაშუშობდა—**ს. ელიაძე**; ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი**; გაერთიანების საკითხი რკინის გზაზე—**მოხუცი რკინისგზელი**; კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება—**იპ. ნარსია**; ორი დღით ქუთაისში—**მგზავრი**; რკინის გზის რამე-რუმე—მუშკორი—**დუღაბი**; ქაღალდის ქარხანა საქართველოში—**კ.—ძე**; ზაჰესს ლექსი—**ი. ქოიავა**; დილა სოფლად—ლექსი—**გ. ქუჩიშვილი**; წერილი გორის მაზრიდან—**მ. როსებაშვილი**; მენშევიზმი და მუშათა კლასი—**ნ. ჯულელი**; ტფ. ყოფ. ახ. მარქსისტთა გაფართოებული თათბირი. პროფ. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია—**კ. კ.**; წერილები პროვინციიდან.

# ინგლისის იმპერიალიზმი საომრად ირაზმება

უკვე შეწყდა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა ინგლისის იმპერიასა და საბჭოთა კავშირს შორის. კონსერვატიულმა მთავრობამ სისრულეში მოიყვანა თავისი დიდი ხნის სურვილი. მისი მიზანია—საბჭოთა წინააღმდეგ დარაზმოს ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები; მას სურს გაერთიანებული ფრონტით გამოვიდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის ენერგიულად ემზადება ამ მისთვის ბედნიერი დღისათვის. ინგლისი, რომელიც ფლობს მთელი კოლონიების ორ მესამედს, რომელიც სძარცვავს და ყვლეფს აზიის და აფრიკის მრავალმილიონიან ხალხებს, დიდი ბრიტანეთი, რომელმაც თავისი ძლიერება კოლონიალური ქვეყნების ყვლეფაზე ააგო, ყველა სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე უფრო ვერ შეურიგდება საბჭოთა რესპუბლიკების არსებობას. ის ვერ შეურიგდება კომუნისტური პარტიის არსებობას, ვერ შეურიგდება ამ პარტიის აღმოსავლეთის პოლიტიკას. ინგლისი დღეს დაშლის პროცესს განიცდის. მისი კაპიტალისტური მეურნეობა ძლიერ ჩამორჩენილია და ამიტომ არის, რომ თვით მის საბრძანებელ კოლონიებში და ნახევარ კოლონიებში: ავსტრალიაში, ეგვიპტეში, აღმოსავლეთ ინდოეთში, სამხრეთ და დასავლეთ აფრიკაში ასე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი, რაც იმის მომასწავებელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში ინგლისის ხარჯზე ზრდის თავის ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას...

ჩინეთის მოძრაობამ ყველა ჯურის იმპერიალისტებს და მათ შორის ინგლისს ჯერ ეკონომიური ომი გამოუცხადა მათ საქონელზე ბოიკოტის გამოცხადების სახით. ეხლა კი ჩინეთი იარაღით ხელში იბრძვის და ცდილობს სავსებით განთავისუფლდეს იმპერიალისტებისა და, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის ბატონობისაგან. ინგლისის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა ეგვიპტეშიც. რაც იქედანა სჩანს, რომ ეგვიპტე, რომლის შეიარაღებულ ჯარებს ინგლისის კომისარი მეთაურობდა და ჯარის სარდლობა ინგლისელების ხელში იყო, დღეს მონდომებულია თავისი შეიარაღებული ძალები გაანთავისუფლოს ინგლისის ხელმძღვანელობისაგან. რით უპასუხა ამაზე ინგლისმა? მან კრეისერები გაუგზავნა „თავხედ“ ეგვიპტეს. საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში ხომ მან სულ ერთიანად დაჰკარგა ყოველგვარი ზომიერების გრძნობა. მან აშკარად უარყო ის სავაჭრო უპირატესობანი და მატერიალური ინტერესები, რასაც მას აძლევდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა. ცნობილია, რომ ინგლისს პური არ აქვს, რომ მას არა აქვს ნავთი. ორივე ეს საბჭოთა კავშირს გაჰქონდა ინგლისში; სამაგიეროდ მას ინგლისიდან შემოჰქონდა ინგლისის ფაბრიკატები. აქედან აშკარაა, რომ ჩვენთან სავაჭრო დამოკიდებულება ინგლისისათვის მეტის-მეტად სასარგებლო იყო: ჩვენ მას ვაძლევდით პურსა და ნავთს და აღებულ ფულსაც იქვე, ინგლისში, ვაბანდებდით და სამაგიეროდ მათი მანქანები გამოგვქონდა. ამრიგად საბჭოთა კავშირთან სავაჭრო დამოკიდებულება ხელს უწყობდა ინგლისის „ნაციონალური“ კაპიტალის გაზრდას და უმუშევრობის შემცირებას. რომ ინგლისიც ასე აფასებდა საბჭოთა კავშირებთან სავაჭრო ურთიერთობას, ეს იქედანაც სჩანს, რომ ინგლისის ცენტრალურმა სავაჭრო ბანკმა საბჭოთა კავშირს 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი (100 მილიონი ოქროს მანეთი) სესხი გაუხსნა. ეს საქმე მხოლოდ ჩვენი სავაჭრო დაწესებულებებზე თავდასხმამ ჩაშალა.

მართალია, ინგლისს ამერიკიდან შეუძლია პურის მიღება, მაგრამ იგი ღირსებით დიდათ ჩამოუვარდება რუსეთის პურს და თანაც ამერიკიდან მისი მოტანა ერთობ ძვირად დაუჯდება. მეორეს მხრივ, ინგლისმა ამ პურში უნდა მისცეს ამერიკას ბაჯაღლო ოქრო, რადგანაც ამერიკას ინგლისის მანქანები არ სჭირდება. ამას უნდა დაუმატოთ ის გარემოებაც, რომ ამერიკა ვერც ნისიათ მისცემს პურს ინგლისს, რომელიც ისეც ყელამდე ჩამჯდარია ამერიკის ვალებში; ცხრანახევარი მილიარდი დოლარი (19 მილიარდი მანეთი ოქრო) მართებს და დიდი ხანია აღძრა საკითხი ამ ვალების გაუქმების შესახებ.

ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ უკუაგდო ეს

ეკონომიური სარგებლიანობის თვალსაზრისით, მან გასწყვიტა საბჭოებთან კავშირი და ლამობს თავზე დაესხას მშრომელთა სახელმწიფოს. ამიტომ ის ცდილობს ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან საღმრთო კავშირის მოწყობას ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ შესძლებს თუ არა ინგლისი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნას? მორიგდებიან თუ არა ურთიერთ შორის ბურჟუაზიული სახელმწიფოები?!

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის ეკონომიურსა, პოლიტიკურსა და სოციალურ სისტემას ვერ ითმენენ. მხოლოდ კითხვა იმაშია რომ ეს ასეა. დღეს მაინც შეუძლიათ თუ არა ამ სახელმწიფოებს ჩვენს წინააღმდეგ მთლიანი ფრონტით გამოსვლა? სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ არ შეუძლიათ. დღეს ბურჟუაზია ვერ გაბედავს ომის ცეცხლის გაჩაღებას მთელ მსოფლიოში, ის არ არის ამისთვის მზად.. უპირველეს ყოვლისა, ასეთ ომს ეწინააღმდეგება ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების მარჩენალი—ამერიკის შეერთებული შტატები. ის დაინტერესებულია მითი, რომ ევროპაში მშვიდობიანობა არ დაირღვეს მანამდე მაინც, სანამ იგი თავის 25 მილიარდ დოლარს გაინაღდებდეს.

ამერიკა დღეს ძალაუნებურად იცავს მშვიდობიანობას, და ევროპიული სახელმწიფოები, რომლებიც დღეს ამერიკასთან ვასალურ მდგომარეობაში არიან, ისეთ დიდ თავხედობას ვერ გამოიჩენენ, რომ ამ მათ ფაქტიურ ბატონს არ დაუჯერონ. ესეც არ იყოს, ახალ ომებს ხომ ახალი კრედიტები უნდა და ამერიკის უმისოთ კი მისი შოვნა არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ შეუძლია დღეს.

როგორც ვხედავთ, ამერიკა დღეს არ არის ომის მომხრე. მეორე მხრივ ვერც თვითონ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების ურთიერთობაა საიმედო მდგომარეობაში. ვერსალის ზავმა ვერ მოარიგა ერთმანეთში თვით გამარჯვებული სახელმწიფოებიც. ინგლისი შიშით შეჰყურებს ამერიკის უზომო სამრეწველო და სავაჭრო განვითარებას; მას თავზარსა სცემს ამერიკის კონკურენცია აზიისა და აფრიკის კოლონიებში. აგრეთვე ქრონიკულ კონფლიქტშია ურთიერთშორის ინგლისი და საფრანგეთი. მათ სადაო საგანს შეადგენს იმის შესახებ საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს მათ შორის ევროპის გეგემონათ. საფრანგეთს არავითარი სურვილი არა აქვს ინგლისის კარნახით აწარმოოს თავისი პოლიტიკა. ის დღეს გვარიან კარგადა გრძნობს თავს. მისი სამხედრო სიძლიერე და განვითარებული მრეწველობა უკარნახებს მას ინგლისთან დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს. აგრეთვე ვერ ურიგდებიან ერთმანეთს ინგლისი და გერმანია. ინგლისს გერმანიას ვითომ მფარველობასაც უწევს, მაგრამ ის ამას სჩადის საფრანგეთის ხარჯზე. ეს, რა თქმა უნდა, საფრანგეთს არ მოსწონს და მის „შემარიგებელ“ პოლიტიკას სისტემატიურად უარყოფს. მტრულ განწყობილებაშია ურთიერთშორის აგრეთვე საფრანგეთი და იტალია. ისინი ერთმანეთს უპირდაპირებენ ხმელთა შუა ზღვით სარგებლობისა, კოლონიებისა და ბალკანეთის სახელმწიფოებში გავლენის საკითხებში. ასე რომ ვითომ-და შერიგებული და მორიგებული ანტანტა ომის გათავების ათი წლის თავზე ურთიერთშორის იმდენად შეურიგებელი და მოურიგელია, რომ მზად არიან ერთმანეთს ყელი გამოსჭრან. აბა, რა საფიქრებელია, ასე ერთმანეთზე გადამტერებული სახელმწიფოებიდან ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ! სრულიად პირიქით,—ყველა ეს სახელმწიფოები იარაღს ისხამენ და ერთმანეთთან საომრად ემზადებიან.

რაც შეეხება დამარცხებულ სახელმწიფოებს და მათ შორის გერმანიას, მათზე ლაპარაკიც მეტია; ისინი ვერსალის ზავით განადგურდენ, მათი მატერიალური და პოლიტიკური უფლებები განიავებულია. გერმანიასა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის გაუვალი უფსკრულია დღეს ამოთხრილი. და აბა, რა დასაჯერებელია, რომ ინგლისისა და საერთოდ ანტანტის სახელმწიფოების დუდუკზე იცეკვოს გერმანიამ, რომელმაც წარსულ ომიანობის დროს დაჰკარგა თავისი ტერიტორიის ერთი მერვედი და მოსახლეობის 10 პროცენტი (ამ რიცხვში არ შედის ომში დაჭრილ-დასახიჩრებული, დახოცილი და დაკარგული ხალხი), გერმანიამ დაჰკარგა ყველა თავისი ახალშენები, ანუ კოლონიები, რომლებიც ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, იტალიამ და იაპონიამ გაინაწილეს.

ასეთსავე პირობებში ჩააყენა ვერსალის ზავმა ავსტრია და ოსმალეთიც.

ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ არისობიექტური და არც სუბიექტური პირობები საერთო ფრონტით საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ომის პროვოკაციას ჩვენ არ უნდა მოველოდეთ. შესაძლებელია, ინგლისმა ჩვენი მოსაზღვრე რომელიმე სახელმწიფო და, პირველ ყოვლისა, პოლონეთი აამხედროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამისათვის პოლონეთს უხვად მისცემენ ფულსაც, ინსტრუქტორებსაც და სამხედრო მასალასაც. ინგლისი ეხლა აამოძრავებს ყველა ჯურის ემიგრანტებსაც. მაგრამ ეს ანგარიშში მისაღები არ არის.

დღეს სერიოზული ომის დაწყება არც ისე ადვილი საქმეა. დღეს 1914 წელი როდია. დღეს ყველამ კარგად შეიგნო, თუ რა უბედურება ყოფილა თანამედროვე ომი და ადვილად ვერავინ გაბედავს მის დაწყებას. ბურჟუაზიამ უკვე დაინახა, რომ მსოფლიო ომმა უზარმაზარი რუსეთის იმპერია სოციალისტებს დაუსაკუთრა. არ შეიძლება იმავე ბურჟუაზიამ არ იცოდეს, რომ მომავალი მსოფლიო ომი აუცილებლად გააფართოვებს საბჭოთა საზღვრებს, და დროშა, რომელიც დღეს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე ფრიალებს, აფრიალდება დასავლეთი ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიაზეც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალისტებს გარდა, იმავე იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ცხოვრობენ ხალხები, მშრომელი მასები, რომლებიც არ მოისურვებენ თავისი საკუთარი სისხლის ხელახლად დაღვრას ბურჟუაზიის ჯიბეების გასასქელებლად. ხალხის მშრომელ მასებს კარგად ახსოვს, რომ წარსულმა იმპერიალისტურმა ომებმა იმსხვერპლა: საფრანგეთში 1.385.000 კაცი, ინგლისში—930.000, იტალიაში—468.000, სერბიაში—370.000, რუმინიაში—240.000, შეერთებულ შტატებში—152.000, კანადაში—57.000, ავსტრალიაში—56.000, ინდოეთში—34.000, ბელგიაში—22.000, ახალ-ზელანდიაში—17.000, პორტუგალიაში—8.500, სამხრეთ-ამერიკაში—7.000, რუსეთში—1.700.000, გერმანიაში—2.140.000, ავსტრო-ვენგრიაში——943.000, ოსმალეთში—450.000.

ევროპამ ამ ომში დაჰკარგა რვანახევარი მილიონი ჯანსაღი და ენერგიით სავსე მამაკაცები. ეს ხალხი შეეწირა საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ ახალი ბაზრების ხელში ჩაგდების სურვილს. 1914 წელს მშრომელი კაცობრიობა და მისი ავანგარდი, პროლეტარიატი, დაიბნა, დაიქსაქსა. რეფორმისტულმა ს.-დ. მიემხრო ბურჟუაზიას. კომუნისტური პარტიები არ არსებობდენ; ლენინის პარტია მხოლოდ ისახებოდა იმ დროს სოც.-დემოკრატიის პარტიის წიაღში. დღეს მდგომარეობა სავსებით გამოცვლილია. რევოლიუციონურ პარტიებს აქვთ მისი საკუთარი სახელმწიფოები მთელი თავისი იძულებითი ატრიბუტებით.

ევროპის მუშათა კლასი 1914 წელთან შედარებით დღეს უფრო გარევოლიუციონერებულია. ევროპაში და აზიაში ჩამოყალიბდენ კომუნისტური პარტიები. იმდენად, რამდენადაც ომის საფრთხე ახლოვდება და მსოფლიო მენშევიზმი მიემხრობა ბურჟუაზიას, ამდენათვე ჩამოშორდება მას მუშათა კლასი, რომელსაც არ სურს თავის სიცოცხლე შესწიროს იმპერიალისტურ ავანტიურას. მშრომელ მოსახლეობას არ სურს ომი. და ამ მომენტს სავსებით გამოიყენებენ კომუნისტური პარტიები.

დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ ახალი მსოფლიო ომი აუცილებლად იქცევა სამოქალაქო ომებად. და ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ გარევოლუციონერებული კოლონიალური ხალხებიც ხელს შეუწყობენ ევროპის პროლეტარიატს.

ამიტომ ჩვენ ვიტყვით: ჩვენ ომისთვის არ გვცალია. ჩვენ ომი არა გვსურს. ჩვენ სოციალისტურ აღმშენებლობას ვაწარმოებთ. მაგრამ, თუ თავზე დაგვესხმებიან, ჩვენც იძულებული ვიქნებით მთელის ჩვენის ძალღონით დავიცვათ ჩვენი კომუნისტური სახელმწიფო. და სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ.

მე მწამს, რომ ძველი, დრომოჭმული ქვეყანა უნდა დაეცეს. მე მწამს, რომ იმპერიალისტების დღეები დათვლილია. მე მწამს დიდი პოეტის სიტყვები:

„ვეღარ გაუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა ქარისა ქროლას!“

**ალ. ხელაძე.**

# ვინ ჯაშუშობდა?

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა გამოწვეულია საბჭოთა ხელისუფ. მიერ იმ პირობების შეუსრულებლობის გამო, რომელიც გულისხმობს მხარეთა შორის შინაურ საქმეებში ჩაურევლობას და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა მთავრობამ დაარღვია ხელშეკრულების ეს მუხლი და ამის გამო მასთან დიპლომატიური ურთიერთობის შენარჩუნება შეუძლებელიაო.

მიუხედავად მრავალი ცდისა, კონსერვატორებმა ამის საფუძვლიანი დამტკიცება მაინც ვერ შესძლეს.

სამაგიეროდ ამ გარემოებამ უკვე საჯაროდ ახადა ფარდა ინგლისის მთავრობის აგენტების საქმიანობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

პირველ ივნისს ამხ. **რიკოვმა** მოსკოვის საბჭოში გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, სადაც ფაქტებით ხელში დაამტკიცა, რომ ჯაშუშობას ეწევიან არა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლები ინგლისში, არამედ ინგლისის კონსულები და წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში.

ამხ. რიკოვმა გამოაქვეყნა ლენინგრადში ინგლისელი კონსულის პრესტონის წერილი, რომელიც გაგზავნილი იყო ინგლისის კომერციულ მისიაში მოსკოვში. აი ამ წერილის შინაარსი:

„თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღება არაა ადვილი საქმე ჩემთვის, ვინაიდან ჩემი რუსი ფრინველები, რომელთაც მე ვაგზავნი ასეთი დავალებებით, სერიოზული საფრთხის ქვეშ იმყოფებიან,—სახელმწიფო პოლიტსამმართველო მათ ჩამოახრჩობს და აწამებს ჯაშუშობისათვის“, სწერს ინგლისის კონსული პრესტონი. ამის შემდეგ ამხ. რიკოვი აცხადებს:

„ამას წინად დახვრიტეს ინგლისის ჯაშუში ფილინი, რომელიც ბრიტანეთის მისიის მდივანს ჩეროკს აწვდიდა ინფორმაციას მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების მდგომარეობის შესახებ. დაპატიმრებულია ინგლისის ჯაშუში პეშკოვი, რომელიც მუშაობდა ინგლისის წარმომადგენლის (მოსკოვში) ხოჯსონის დავალებით“.

აი ნამდვილი საბუთები იმის დასამტკიცებლად, თუ ვინ ეწეოდა მართლა ჯაშუშობას, მიუხედავად ხელშეკრულობით გათვალისწინებული მუხლისა.

ამრიგად ინგლისის კონსერვატორები დიდი ხანია ამზადებენ ნიადაგს მშრომელთა სახელმწიფოს დასამხობათ, რისთვისაც ისინი არავითარ საშუალებებს არ ერიდებიან.

აქედან საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა უკვე გააკეთა თავისი დასკვნა. მან მოწოდებით მიმართა მსოფლიო მუშათა კლასს ინგლისის მთავრობის ვერაგული პოლიტიკის წინააღმდეგ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოწოდება საჭიროების დროს პოვებს შესაფერ გამოხმაურებას.

ვფიქრობდით, რომ ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში, როდესაც ჩინეთში სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, როდესაც ომის საფრთხე კვლავ აღიმართა ყაცობრიობის წინაშე, როდესაც ინგლისის იმპერიალიზმმა ეგვიპტის ხალხის წინააღმდეგაც გაილაშქრა, მსოფლიო მენშევიზმი სიტყვით მაინც გამოეხმაურებოდა ამ მოვლენას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ამ დღეებში დასრულდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

რა თქვა ამ ყრილობამ?

იქ ერთი სიტყვაც არ დაძრულა არც ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტით მოსალოდნელ საფრთხის შესახებ, არ გახსენებიათ აგრეთვე არც ჩინეთის ხალხის ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სამაგიეროდ ყრილობის მთელი გულისყური იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ, როგორმე მოეხერხებიათ კვლავ კოალიციონურ მთავრობაში შესვლა და იქ რამოდენიმე სამინისტრო სავარძლის მოპოება.

გერმანიის მენშევიზმის ერთ-ერთი ბელადი ჰილფერდინგი, რომელმაც ყრილობაზე გააკეთა მოხსენება დემოკრატიის ამოცანების შესახებ ამბობს:

„პირველად მსოფლიო ომის გათავების შემდეგ დამყარდა საერთო გაუმჯობესება, რომელიც გავრცელდა გერმანიაზედაც. ეს გაუმჯობესება გულისხმობს საერთო მეურნეობის საბოლოო გაჯანსაღებას. ამიტომ მე უარვყოფ ბოლშევიკურ თეორიას კაპიტალისტური მეურნეობის დაღუპვის შესახებ. ტეხნიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შეიცვალა ფორმები კაპიტალისტური წარმოების. ტრესტების შექმნა და წარმოების ინტერნაციონალიზაცია ახლაა დღეს ლოზუნგი მძიმე ინდუსტრიის. ამის გამო პარტიის ბრძოლა კაპიტალისტურ სახელმწიფოში უნდა იყოს ბრძოლა სახელმწიფოებრივი ფორმის და სახელმწიფოზე ხელმძღვანელობის გაძლიერების. სოციალიზმის განხორციელებისათვის ყველაზე უფრო დამღუპველია სამოქალაქო ომი. ჩვენ, სოციალისტები ჩავრდებით გაცილებით უფრო ძნელ პირობებში, თუ პროლეტარული სახელმწიფოს მართვა-გამგეობა წარმოიშვება სამოქალაქო ომის მეოხებით. ამიტომ ჩვენი ინტერესები მოითხოვს დემოკრატიის შენარჩუნებას“.

ამრიგად გერმანელი მენშევიკებისათვის ყველაზე უფრო საშიშ მოვლენას წარმოადგენს სამოქალაქო ომის წარმოება და ისევ პარლამენტის საშუალებით ფიქრობენ ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში აღებას. ამ ხალხისთვის ტყუილ-უბრალოთ ჩაუვლია იმ მრავალ გაკვეთილს, რომლებიც მათ მიიღეს ნოემბრის რევოლუციის შემდეგ.

მაშინ როგორც ვიცით, ძალა-უფლების სათავეში მოექცა მენშევიკური პარტია. სანამ მენშევიკები ბურჟუაზიისთვის საჭირო იყვნენ, ისინიც ითმენდენ მათ, მაგრამ თანდათანობით, ბურჟუაზიის მილიონიერებთან დაკავშირებით, რომელსაც დიდათ შეუწყვეს ხელი მენშევიკ-მინისტრებმა, ისინი გამოდევნილ იქნენ მთავრობიდან.

მოსალოდნელი იყო ამ გაკვეთილს შესაფერისად გამოიყენებდა მენშევიკური პარტია და ის ხელს აიღებდა მომავალში ბურჟუაზიასთან კავშირზე და მოუწოდებდა მუშათა კლასს პირდაპირ ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ, მით უმეტეს დღეს გერმანიის მუშათა კლასის ზურგს უკან უსათუოდ სწარმოებს ფარული ვაჭრობა გერმანიის ჩახათრევათ ანტი-საბჭოთა ბლოკში.

თუ რით დათავდება ეს ვაჭრობა, წინასწარ ძნელია ამის გათვალისწინება, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ინგლისი საკომპენსაციოდ გერმანიას შეპირდება რეინის ოლქის ევაკუაციას და პოლონეთთან საზღვრების მოწესრიგებას. თუმცა გერმანიის ნაციონალისტები უფრო რეალური პოლიტიკის მატარებელნი აღმოჩნდენ, ვინემ მენ

ვიკები. ნაციონალისტებს უკვე გათვალისწინებული აქვთ, თუ საბოლოო ანგარიშით რას უქადის გერმანიას ინგლისის გავლენის სფეროში მოქცევა.

რა დასკვნა უნდა გააკეთოს ყველა აქედან გერმანიის მუშათა კლასმა?

მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ რომ მენშევიზმი უკვე საბოლოოდ ჩამოშორდა რევოლიუციას და გადაბარგდა მუშათა კლასის მტრების ბანაკში. მენშევიზმი დღეს უფრო საშიში მტერი გახდა სოციალიზმისათვის, ვინემ ბურჟუაზია.

ამიტომ მუშათა კლასის მოვალეობაა ერთხელ და სამუდამოდ დადგეს კომინტერნის ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. რომლის საშუალებით ის შესძლებს დაამარცხოს როგორც კაპიტალიზმი, ისე პასუხი მოსთხოვოს სოციალიზმის მოღალატეებსაც.

საბჭოთა კავშირის—ამ ერთად-ერთი სოციალისტური ქვეყნის დაცვა იმპერიალისტური თავდასხმისაგან—აი უმთავრესი ამოცანა დღეს მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე. რითაც ის გაიადვილებს საბოლოო განთავისუფლების საქმეს კაპიტალიზმის მონობისაგან.

**ს. ელიაძე.**

# ორიენტაციის საკითხები

XI.

## საქართველოს ახალი „მხსნელები“.

1

### მოქ. ედ. შაპუიზა

ჩვენ უკვე გავეცანით ნოე რამიშვილის ბროშიურას, რომელშიაც ავტორი ეხება საქართველოს ორიენტაციის საკითხს და ამტკიცებს საქართველოს ოსმალეთთან დაკავშირების აუცილებლობას. ნოე რამიშვილი ქართველ ხალხს ურჩევს გამოეთიშოს საბჭოთა კავშირს, იბრუნოს პირი სათათრეთისაკენ, ითამაშოს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუფერის როლი და მით იხსნას ევროპა რუსეთის იმპერიალიზმის საშიშროებიდან.

ეს ველური აზრი ჩვენ მოქ. რამიშვილის ველური გონების ნაყოფი გვეგონა, მაგრამ თურმე ვცდებოდით: დღეს ამ აზრის არის მთელი ქართველი ემიგრაცია, მისი ყველა პარტიები და ლიდერები. კიდევ მეტი: დღეს არა თუ ქართული ემიგრაციის ლიდერები ღეჭვენ და ცოხნიან ამ ველურ აზრებს, მას ამ საქმის თეორეტიკოსად. სხვებიც უშოვნიათ. ამ დროებით ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს ფრანგი ჟურნალისტი ვინმე ედ. შაპუიზას აზრებს ამ საგანზე.

მოქ. შაპუიზას ჟენეველ ფრანგულ გაზეთში წერილი უძღვნია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისათვის. ამ წერილის თარგმანი დაბეჭდილია „დამოუკიდებელ საქართველოს“-ს 14 ნომერში. გაზეთი ცდილობს ქართველ მკითხველებს გააცნოს საქართველოს ეს ახალი „მხსნელი“:—„ბ. შაპუიზა შვეიცარიის საუკეთესო გაზეთის მთავარი რედაქტორია, დეპუტატია. მან 1919 წელსაც უძღვნა საქართველოს მეთაური თავის გაზეთში და ვერსალის კონფერენციის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო“.

მიუხედავად ასეთი რეკომენდაციისა, ეს საქართველოს ძალით მაცხოვრე „მხსნელი“ ვერ იჩენს ვერავითარ ორიგინალობას და იმავე ნოე რამიშვილის მიერ ორი წლის წინად გამოთქმულ აზრებს იმეორებს. როგორც რამიშვილი, ისე შაპუიზაც ურჩევს საქართველოსა და მთელ ამიერ-კავკასიას: გაშორდით საბჭოთა კავშირს, იკისრეთ ოსმალეთსა და რუსეთს შორის ბუფერის როლი და მით იხსენით კულტუროსანი ევროპა იმპერიალისტური რუსეთის საშიშროებისაგანო.

ამ შემთხვევაში რამიშვილსა და მოქ. შაპუიზას შორის მხოლოდ ის განსხვავება არის, რომ რამიშვილი ჯერ კიდევ გაუბედავად ცდილობდა ქართველი ხალხის თვალში ოსმალეთის წარსულის გათეთრებას. მოქ. შაპუიზა კი ამ საქმეში უფრო გამბედავად მსჯელობს. ის საქართველოს ისტორიაში ოსმალეთისა და სპარსეთის როლის გათეთრებას კი არა ცდილობს, ის სულაც არა ცნობს ამ ორ სახელმწიფოს საქართველოს წინაშე დამნაშავედ. პირიქით, შაპუიზას ავტორიტეტული თქმით, სპარსეთი და ოსმალეთი ამ შემთხვევაში მხოლოდ „მსხვერპლი“ ყოფილან.

მოვუსმინოთ თვითონ მოქ. შაპუიზას:

„რუსეთის ძლევამოსილი მსვლელობა სამხრეთისაკენ მიჩნეული იყო, როგორც ფატალისტური აუცილებლობა. ოსმალეთი და სპარსეთი აქ იყვენ მსხვერპლი“.

ვექილიც ასეთი უნდა! ეს უფრო გამბედავი ბრძანებულა ნოე რამიშვილზე. უკანასკნელი არგუმენტებს მაინც ეძებს ოსმალეთის გასათეთრებლად. მოქ. შაპიუზა კი, როგორც უფრო გამოცდილი მწერალი, უაპელაციოთ და უკასაციოთ აცხადებს სპარსეთსა და ოსმალეთს ძველი საქართველოს უბედურების არა მიზეზად, მის ათასჯერ დარბევა-აწიოკებაში არა დამნაშავედ, არამედ მსხვერპლად: ოსმალეთი და სპარსეთი აქ მსხვერპლი იყვენ. დამნაშავე მხოლოდ რუსეთის სამხრეთისაკენ ფატალისტური ძლევამოსილი მსვლელობა იყოვო...

აი როგორ იწერება ევროპაში საქართველოს ისტორია! ქართველმა მშრომელმა ხალხმა კარგად უნდა დაიხსომოს ეს. მან უნდა იცოდეს, რომ ქართველი ემიგრაციის ბელადები და მათი დამქაშები მხოლოდ თავისი კი გაიტანონ, მხოლოდ ხალხი კი მოატყუილონ და თვით ყველასთვის ცნობილი ისტორიული ფაქტების გაყალბებასაც არ დაერიდებიან.

მოქ. შაპუიზა იმპერიალისტურ ევროპას უსაყვედურებს კავკასიისადმი უყურადღებობას და აგონებს მას იმ დიდ როლს, რომელიც, მისი აზრით, უნდა ითამაშონ კავკასიის აქეთა მხრის რესპუბლიკებმა:

„ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ თუ გაათელავინეთ (რუსეთს) კავკასიის ხალხების თავისუფლება, ამით არსებითად შეილახება თქვენი მომავალი. აღდგენილი კავკასიის კონფედერაცია იქნებოდა გარანტია ევროპის ეკონომიური განვითარებისათვის; უხვად დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრით, ის ხელს შეუწყობდა დედამიწის ამ ნაწილის წარმატებას, რომ ის არ იყოს დატყვევებული ბოლშევიკების მიერ. მისი სტრატეგიული და საზღვაო მდებარეობა ორ კონტინენტ შუა, მას მისცემდა საშუალებას პოლიტიკური რეგულიატორის როლი ეთამაშა. ის იქნებოდა შემაჩერებელი რუსის ტალღებისა“.

ასე ბრძანებს მოქ. შაპუიზა და გონია, რომ ახალი ამერიკა აღმოაჩინა. ამ აზრის განხორციელებაში მას და მოქ. რამიშვილსაც უკვე დაასწრენ იმავე ანტანტის სახელმწიფოებმა, რომლებსაც ისინი დღეს ჭკუას ასწავლიან. სწორედ „რუსის ტალღების“ შეჩერების მიზნით ფიქრობდა ანტანტა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გამოყენებას. ამიტომ იყო, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და ყველაზე უწინ საქართველო მან იცნო ჯერ ფაქტიურად და შემდეგ იურიდიულად. ანტანტა ამ „ცნობილ“ რესპუბლიკების სახით ფიქრობდა ევროპასა და რუსეთს შორის მაგარი ჯებირის შექმნას და მით კომუნიზმის ტალღების შეჩერებას... ანტანტას არ გაუმართლდა იმედი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა ვერ შეაჩერეს თუ არ მოინდომეს კომუნიზმის ტალღების შეჩერება. მაშ რა გარანტია აქვს ევროპას, რომ „აღდგენილი კავკასიის კონფედერაცია“ დღეს მოისურვებს მისი იმედების გამართლებას?

ნ. რამიშვილი და მოქ. შაპუიზა ამის შესახებ არაფერს არ გველაპარაკებიან. ისინი ახალ აღმოჩენად ასაღებენ ანტანტის მიერ შვიდი წლის წინად ნაცად პოლიტიკას და იმავე ანტანტას შესთავაზებენ: „თავისუფალი“ საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი კომუნიზმის

ტალღებს შეაჩერებენ და ევროპას დაღუპვისაგან იხსნიანო.

„ბუფერი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის შეაჩერებდა რუსეთის სვლას მცირე აზიისაკენ. ამავე დროს დაგვაშორებდა ბოლშევიკებს ისე, როგორც ომის ხიფათსაც. თვით ხვალინდელ რუსეთს ექნებოდა დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, რომელიც ხელს შეუწყობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულიერსა და მატერიალურ დაახლოებას“...

ასეთია მოქ. შაპუიზას წერილის მთელი შინაარსი. ასეთ ბუფერის როლს უმზადებს იგი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და კერძოთ საქართველოს. ეს ქვეყანა თავის-თავად, როგორც ასეთი, როგორც საქართველო, არავის აინტერესებს. ის მხოლოდ იმდენად ეინტერესებათ, მაზე მხოლოდ იმდენად ლაპარაკობენ, რამდენადაც მან უნდა ითამაშოს რუსეთსა და ევროპის შუა აღმართული კედელის როლი. ყველა ეს „საქართველოს განმათავისუფლებლები“ ერთხმად გვეუბნებიან: კავკასიამ და კერძოდ საქართველომ ევროპა უნდა იხსნას კომუნიზმის ტალღებიდან. მათ „რუსის ტალღა“ შეაჩერონო. ყველა ესენი საქართველოსა და კავკასიას ევროპის ფარის როლს აკისრებენ. იმათ ვერც კი წარმოუდგენიათ თვითონ ამ ქვეყნის მყუდრო ცხოვრება, სახელმწიფოებრივი არსებობა. გინდა არ გინდა, ორ უდიდეს ძალთა შორის ბუფერის როლი უნდა იკისროვო. რა ვუყოთ მერე, რომ ხან ერთმა უნდა გჯიჯგნოს და ხან მეორემ. რა ვუყოთ, რომ ერთი მოსვენებული დღეც არ გექნება; სამაგიეროდ ევროპას იხსნი რუსეთის ტალღებიდანო.

როცა ვიღაც შაპუიზა საქართველოს ასეთ როლს უქადის, ეს გასაგებია. მაგრამ გიჟები უნდა იყვენ ის ქართველი ემიგრანტები, რომლებიც ასეთი ველური აზრებისათვის შაპუიზას საქართველოს მოსისხლე მტრად კი არა სთვლიან, მის მოყვარედ და მხსნელადაც ასაღებენ. აბა ვინმემ გაბედოს და ასეთი ბუფერის როლი შესთავაზოს რომელიმე, თვით ყველაზე უფრო პატარა სახელმწიფოსაც კი. ერთ უბედურებას დაატეხდენ თავზე ასეთ კადნიერ მწერალს. ქართველთ ემიგრაციის ლიდერები კი ასეთ მწერალს ქვეყნის მხსნელად აღიარებენ, მის წერილს თარგმნიან, მას ქებათა-ქებას ასხამენ.

რატომ? რა გაუკეთა მან საქართველოს? მაგრამ აქ საქართველო რა შუაშია? კომუნისტების წინააღმდეგ კი დასწეროს ვინმემ და მეტი რა უნდა? ვინც კომუნისტების მტერია, საქართველოს დამცველიც ის არის. აი ქართული ემიგრაციის ლიდერების ლოლიკა. მოდით და ნუ იტყვით: „შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“.

საკვირველია: რატომ ერთხელაც არ დაფიქრდება ეს ხალხი? რატომ ერთხელაც არის არ დაივიწყებენ პირადსა თუ პარტიულ შეურაცხყოფას და არ მიუდგებიან საკითხს თვით საქართველოს, თვით ქართველი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით?

რატომ ერთხელაც არ იფიქრებენ: თუ ძლიერ ევროპას ეშინია „კომუნიზმის ტალღების“, თუ იმპერიალისტური დიდი სახელმწიფოებიც ფარსა და დამხმარეს ეძებ ამ ტალღების შესაჩერებლად, როგორ უნდა გაუძლოს ამ ტალღებს პატარა და სუსტმა საქართველომ? ვინ უნდა ითამაშოს საქართველოსთვის უძლეველი კომუნიზმის ტალღების შემჩერებლის როლი?

ამაზე არ ფიქრობენ რევოლიუციისა და სოციალიზმის დეზერტირები. ამაზე არ ფიქრობენ ეს ბრძენი დიპლომატები. მათ მხოლოდ კომუნისტების წინააღმდეგ კი შექმნან ევროპის საზოგადოებრივი აზრი (თითქოს ეს მათ დაუხმარებლადაც არ ხდებოდეს!) და თუ საქართველო ევროპის იმპერიალისტური გრდემლისა და რუსეთის საშინელ ჩაქუჩს შუა იქნება მომწყვდეული, ეს მათთვის სულ ერთია.

დროა შეიგნონ ამ დეზერტირებმა, რომ ქართველმა ხალხმა თავისი მრავალ ათასი წლის ისტორიიდან იცის, თუ რა ძნელია კოზაკის მდგომარეობა ორ წაკიდებულ აქლემს შუა. მას არა სურს კოზაკის როლის თამაში. მას არ სურს სხვისი იარაღი, სხვისი ფარი, სხვისი ინტერესების დამცველი ჯებირი იყოს.

გაიგონეთ, დეზერტირებო, რომ ქართველ ხალხს არ სურს ევროპის იმპერიალისტების ხელში უსულო საგნათ ყოფნა. დღეს მას აქვს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება. მას აქვს სრული შესაძლებლობა ეკონომიურად და სულიერად დამოუკიდებელი არსებობისა. ის დღეს დიდი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წევრია. ის ნერვებ დაჭიმული ეწევა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

ნუ უშლით მას ხელს თქვენი მომწამვლელი რეცეპტებით...

ჩამოდექით! ქუდი მოიხადეთ ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი შემოქმედების წინაშე.

გზა მიეცით მას!

2

### რეიმონ დიუგე და გენერალი კვინიტაძე

ჭეშმარიტად საცოდავია დღეს ნოე ჟორდანია. დიდი ხანია, რაც მას ბედი არ წყალობს. დიდი ხანია, რაც ის ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც ხალხი ასე ახასიათებს: „საითაც გავიქეცი, იქეთ წავიქეცი“-ო.

მთელი ოცდაათი წელიწადი ამტკიცებდა იგი, რომ საქართველოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირშია, რომ ურუსეთოდ საქართველოს არსებობა შეუძლებელიაო. ის პირველი იყო საქართველოში, რომელიც სჭედდა საქართველოსა და რუსეთის ხალხების სოლიდარობასა და ძმურ კავშირს.

მთელი ოცდაათი წელიწადი გამოდიოდა იგი ჩვენში მარქსიზმის მქადაგებლად. ის პირველი იყო ჩვენში, რომელმაც გვასწავლა: ყველა დღემდე არსებული ეპოქის ისტორია—კლასთა ბრძოლის ისტორიააო. მან პირველმა მიიტანა უდიდესი იერიშები ნაციონალისტურ-შავრაზმულ აზროვნებაზე ჩვენში, მან პირველმა გვასწავლა:—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“-ო.

მან პირველმა ამხილა ქართველ მუშებს: ვინც საერთო ნაციონალისტურ ღმერთს ემსახურება, ვინც მუშათა ინტერესებს უხამებს მთელი ერის ინტერესებს და მათ (ერისა და მუშათა) ერთსა და იგივეობას აცხადებს, ის ღალატობს კლასობრივ პრინციპს, ის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ გზაზე დგებაო.

ასეთი იყო ნ. ჟორდანიას დიდი მუშაობა ჩვენში პირველი ოცდა ათი წლის განმავლობაში. მაგრამ ერთ უბედურსა და კვიმატიან დღეს, მან ერთის ხელის მოსმით გაანიავა თავისი დიდი ნამუშევარი. მან უარყო კლასობრივი პრინციპი, უარყო მის მიერ ქებული რუსეთის ორიენტაცია. დღეს ის ქართველ მუშებს ეუბნება: რუსეთიდან სიბნელე მოდის. გაშორდი მას. დანა ჩაეცი გულში რუსეთის პროლეტარიატს, რომელთანაც ერთად იბრძოდი, ერთად იტანჯებოდი და ერთად დაეცი უსაშინელესი თვითმპყრობელობაო.

დღეს ნოე ჟორდანია სამოქალაქო ზავისა და კლასთა შორის სათნოების უდიდეს იდეოლოგად გამოდის. დღეს ის გამოდის ნაციონალ-დემოკრატების დროშით.

ერთ უბედურ კვიმატიან დღეს ნ. ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან განაცხადა:—„ჩააგეთ ქარქაშში პარტიული ხმლები. ამოიღეთ ეროვნული ხმლებიო!“

ასე გამოაცხადა მან 1921 წლის თებერვალში და რევოლიუციონური წითელი დროშის მაგიერად ეროვნული დროშა აათრიალა. ამ დროშით წავიდა იგი საქართველოდან, ამ დროშით გამოდის იგი ევროპაში მთელი ექვსი წლის განმავლობაში. ის ისე შორს წავიდა ამ საქმეში, რომ ქართველი ფედერალისტების სრული ნდობა და სიყვარულიც კი დაიმსახურა. დღეს მოწონების ნიშნად თვით სამსონ ფირცხალავა მას მხარზე ხელს უთათუნებს:

— აი შენ ეშმაკო, შენ! თუ ასე იყო, რათ გვაწვალე მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში. რატომ გვეძახოდი ქვეყნისა და სოციალიზმის მტრებს? რატომ უარყოფდი ჩვენ მიერ ჯერ კიდევ 1901 წელში წამოყენებულ საერთო ნიადაგსო! (იხ. ქართველი ფედერალისტების პარიზელთ გამოცემა: „სახალხო საქმე“, რვეული მეორე).

ეტყობა, ნოე ჟორდანია ძალიან კმაყოფილია ასეთი ქებით და ის ისე დღეს არ გაუშვებს, რომ რამე არ დასწე-

რის თავისი დეზერტირობისა და სამოქალაქო ზავის გასამართლებლად:

„ის (საქართველო) მუდამ წარმოადგენდა დაწყობილ, დარაზმულ ერს, ორგანიზაციულად დაკავშირებულს“ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“, № 14).

ესეც ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ იწერება საზღვარგარეთ საქართველოს ისტორია. მერე ამასვე არ ამტკიცებდა ილია ჭავჭავაძე: საქართველოში კლასებათ და წოდებად დაყოფა არ არსებობდა. აქ ბატონი და ყმა ერთი უფლებით იყო დაჯილდოებული; ყველა ესენი ერთნაირად ემორჩილებოდენ ერთ აბსოლიუტურ ძალას—მეფოსა. ჩვენი ბატონ-ყმობა კი არა, მამა შვილობა იყოვო.

ასე ამტკიცებდა ილია ჭავჭავაძე და ჩვენ მას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოვუცხადეთ ნოე ჟორდანიას მეთაურობითა და წინამძღოლობით. დღეს თვითონ ნოე ჟორდანია გამოსულა და იმავე ჭავჭავაძის აზრებს იმეორებს. ევოლიუციაც ასეთი უნდა!

თუ ასე იყო, თუ საქართველო მუდამ დაწყობილ-დარაზმულ ერს წარმოადგენდა, თუ მისი ყველა ნაწილი ერთ სულსა და ერთ ხორცს შეადგენდა და ამით ყველა ბედნიერი იყო, რატომ გააუბედურეთ იგი, რატომ შეაცდინეთ? რატომ ასწავლეთ: მთელი კაცობრიობის ისტორია მხოლოდ კლასთა ბრძოლის ისტორიაათ? რატომ ყოფდით ხალხს კლასებათ? რატომ იჩემებდით მარტო პროლეტარიატის იდეოლოგობას? რატომ თიშავდით ქართველ ერს პროლეტარიატს და მას მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ვუერთებდით? თუ ეს ქვეყნისა და ხალხის ღალატი ყოფილა. რატომ იდენდით ასეთ საშინელ დანაშაულს მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში?...

ნუ თუ ყოველი ჩს არ ამტკიცებს, რომ ნ. ჟორდანიამ უღალატა თავის ძველ გზას, უღალატა მარქსსა და მარქსიზმს, უღალატა სოციალიზმს. დასწვა ყოველივე ის, რასაც ოცდაათი წლის განმავლობაში თაყვანსა სცემდა და გვერდში ამოუდგა ქართველ ნაციონალისტებს, ესე იგი იმათ, ვისაც მთელი ოცდაათი წელიწადი ებრძოდა.

ნოე ჟორდანია გადავიდა ქართველ ზუბრების ბანაკში. ის გვერდში ამოუდგა გიორგი გვაზავას, სპირიდონ კედიას, რ. ინგილოს და სხვა ასეთებს. მაგრამ მას აქაც ფეხი დაუცდა. ზუბრებმაც იჭვის თვალით ახედ-ჩახედეს მას, მათ არ გამოუცხადეს ნდობა გუშინდელ მარქსისტ ნოე ჟორდანიას და, რადგანაც მათ საკუთარი ჭკუა-გონება არ ჰყოფნით ჟორდანიასთან საბრძოლველად. ვიღაც ფრანგი მწერალი რეიმონ დიუგე იშოვნეს ჟორდანიასა და ყველა დეზერტირების გასაწბილებლად.

რეიმონ დიუგეს გამოუცია წიგნი შემდეგი სათაურით: „მოსკოვი და წამებული საქართველო“. ჩვენ არ ვიცნობთ ამ წიგნს, მაგრამ „ბრძოლიდან“ ვტყობილობთ, რომ იგი „„პირველ ყოვლისა მიმართულია ქართული ნაციონალისტური მთავრობისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სახალხო გვარდიის წინააღმდეგ“ (იხ. „ბრძოლა“, № 21).

ამ წიგნის შესახებ „ბრძოლა“ წუწუნებს:

„თავისუფალი საქართველოს მთავარი შემქნელნი და მესვეურნი წიგნში ათვალწუნებულია, სხვა ძალები და პარტიები მოხსენებულიც არ არის და ყველა იმათ ალაგას წამოყენებულია ერთი პირი, რომელსაც თურმე შეეძლო საქართველოს გადარჩენა. ეს პირი გენერალი კვინიტაძეა“ (იქვე).

ეს ის კვინიტაძე ბრძანდება, რომელსაც სპ. კედია და მისი პარტია ბათომში უპირებდენ საქართველოს დიქტატორად გამოცხადებას. და თუ ეს მაშინ არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ამის ნებას არ მისცემდა ბათომში თავმოყრილი ს.-დ. პარტიის წევრი—მუშები და გლეხები. ეტყობა, ეს შესაძლებელი ყოფილა პარიზში; ეტყობა, იმპერიალისტების საფარველ ქვეშ ქართველი ზუბრები ისე კარგად გრძნობენ თავს, რომ დიდტანიან წიგნებსაც აბეჭდვინებენ ფრანგულ ენაზე, ყოველ შემთხვევისათვის ემზადებიან... ყოვლად უნიჭო გენერალ კვინიტაძეს რეაბილიტაციას უკეთებენ, საქართველოს მხსნელად აცხადებენ... რა უშავს? თუ კირილე რომანოვს კი აცხადებენ რუსეთის ერთად-ერთ მხსნელად, გენერალი კვინიტაძე რა მაზე უარესია? ზუბრები საერთოთ მარაგის ხალხია: ვინ იცის, იქნებ ბედმა გაუღიმოს და რატომ არ უნდა ჰყავდეს მომარაგებული საქართველოს ახალი „მხსნელი“ დიქტატორი კვინიტაძე?....

ნოე ჟორდანია კი უზის „გატეხილ გობს“ და სევდიანად ალიღინებს „ბრძოლას“:

„გამოდის, რომ საქართველოში არავინ ყოფილა არც ღენერალი, არც ოფიცერი, არც პოლიტიკოსი, არავინ მცოდნე და თავდადებული, გარდა გ. კვინიტაძისა“.

როგორც იმავე „ბრძოლიდან“ ვტყობილობთ, მოქ. დიუგე, რომელიც, თურმე, ეყრდნობა თვითონ „დიქტატორ“ კვინიტაძისა და მისი ამხანაგების ინფორმაციას, იშველიებს ჩვენი კარგად ცნობილ პოლკოვნიკ სტოქსს და აცხადებს, რომ „საქართველო სოციალისტებმა დაღუპესო“. „საქართველო სოციალისტური ექსპერიმენტების მსხვერპლი გახდაო“.

ამნაირად არა თუ სოციალისტები, ყოფლი სოციალისტებიც კი საქართველოს მტრებად, მის დამღუპველებად არიან გამოცხადებული.

ასე დაუფასეს მისი დიდი ამაგი ნ. ჟორდანიას მისმა ახალმა ამხანაგებმა და თანამებრძოლებმა: გვაზავა—კედია—კვინიტაძემ. ასე ჩაუყარეს მათ წყალში ნოე ჟორდანიას მისი ახალი ზე-კლასიური თეორია.

მერე ისწავლიან ჭკუას ჩვენი ყოფილი ამხანაგები? დაუბრუნდებიან ისის ძველ მარქსისტულ გზას? არა. ისინი ისევ ისე ეტრფიან „საერთო ფრონტს“. დეზერტირების ოფიციოზი „ბრძოლა“ იმავე წერილში, რომელზეც დიუგეს წიგნზეა ლაპარაკი, ასე წუწუნებს:

„დიუგე საქართველოს საკითხს **პარტიულ თვალსაზრისით უდგება და არა ეროვნულ და ნაციონალისტურით“**... „ბრძოლა“ აქებს ქ-ნ ოდეტ კენის „საუცხოვოდ დაწერილ“ წიგნს: „თავადი ტარიელი“, რომელიც ქართულ საკითხს უდგება **არა პარტიულის,** არამედ **ხალხური (?), ნაციონალური** თვალსაზრისით“.

აქედან აშკარაა, რომ სოციალიზმის დეზერტირები ბოლომდე დარჩებიენ დეზერტირებად. დეე აფურთხონ და ყვრიმალში სცემონ მათ მათმა ახალმა თანამებრძოლებმა, დეე ნუ ენდობიენ მათ. ისინი მაინც განაგრძობენ გვაზავა—კედიასთან სვლას... და კაცმა რომ სთქვას: მეტი ადგილი სადა აქვთ?!

აქედან აშკარაა, რომ ქართულ ემიგრაციაში თავმოყრილ პოლიტიკურ პარტიებს შორის, იმ პარტიებს შორის, რომლებიც ნოე ჟორდანიამ ერთ სულად და ერთ ხორცად გამოაცხადა, დიდ განხეთქილებასა და აურზაურსა აქვს ადგილი.

ნოე ჟორდანიამ თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური აბრუნდით დაღუპა ს. ს.-დ. პარტია. ამ პარტიის დაღუპვა დაიწყო იმ დღეს, როცა მას კლასობრივი ბრძოლისთვის ალესილი ხმალი ხელიდან გამოსტაცეს და მის მაგიერათ ნაციონალისტური ხმალით შეაიარაღეს. ეს მოხდა იმიტომ, რომ ს. ს.-დ. პარტიამ ჟორდანიას დაუჯერა.

ეტყობა ქართველ ზუბრების პარტიებს სულაც არ დაუჯერებიათ მისთვის. ეტყობა ისინი პარიზის ბურჟუაზიის საფარველ ქვეშ ლესავენ თავის წოდებრივსა და კლასობრივ ხმალს, ეტყობა ისინი კლასობრივ ნიადაგზე დგანან და იქედან ემუქრებიენ ყველა ჯურის სოციალისტებსა და ყოფილ სოციალისტებს. და ისინი ამ შემთხვევაში უფრო უახლოვდებიან მარქსის კლასობ. თეორიას, ვიდრე ჟორდანია და „ბრძოლის“ ყველა პუბლიცისტები. დრონი იცვალენ: ჟორდანია კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგია, ის და მისი ამხანაგები „საერთო ფრონტს“ იცავენ. კვინიტაძეები და გვაზავები კი პარტიულ და კლასობრივი ნიადაგზე დგანან.

ასეთი განწყობილება სუფევს დღეს ქართველ ემიგრაციის სხვა და სხვა პარტიებს შორის. ზუბრების იდეოლოგები ირაზმებიენ არა მარტო კომუნისტებისა და სოციალისტების წინააღმდეგ, ისინი არ ინდობენ თვით მათ მოკავშირეებსაც, თუ ეს უკანასკნელები წარსულში მაინც იყვნენ სოციალისტები, ისინი ნოე ჟორდანიასა და მის ამხანაგებს აცხადებენ საქართველოს დამღუპველებათ და უარს ამბობენ მათთან ერთად მუშაობაზე.

რა დასკვნა გამოვიტანოთ აქედან? როგორ გონია თვითონ ნოე ჟორდნიას: რომ ახდეს მისი დიდი ხნის სურვილი და საქართველო ევროპის ყვავ-ყორნების საწიწკნად გადაიქცეს, რა დოე დაადგება თვითონ ნოე ჟორდანიას და მის პარტიას, თუ კი ასეთი რამე მას დღეს გააჩნია? აპარპაშებენ თუ არა „კომუნისტების უღლიდან განთავისუფლებულ საქართველოში" ჟორდანია-რამიშვილისთანა ყოფილ სოციალისტებს? მოქ. დიოგის წიგნი გვეუბნება, რომ არა...

და თუ კომუნისტები დამარცხდენ, მათთან აეგება წისი ყველა ყოფილ სოციალისტებსაც.

ამ საკითხზე ღირს დაფიქრება და თუ ქართულ ემიგრაციის ლიდერებს უკან შემობრუნება არ ეხერხებათ, იმავე ემიგრაციის მასიბმა დაჩქარებით უნდა გააკეთონ შესაფერი დასკვნა ქართველ ზუბრების ასეთი „მოღვაწეობიდან".

ყარიბი.

# გაეროვნების საკითხი რკინის გზაზე

კომუნისტური ხელისუფლება მტკიცედ იცავს ხალხის ინტერესებს. ის სოციალისტურად უდგება ყოველ საკითხს და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ხალხის ის ელემენტებიც კი, რომლებიც ევროპისაკენ იცქირებოდენ და იქიდან მოელოდენ ჟორდანია - რამიშვილის დირექტივებს, დღეს კომუნისტური ხელისუფლებასთან ერთად ეწევა ქვეყნის აღმშენებლობის უღელს. დღეს თვით ჟორდანია - რამიშვილის „მთავრობაც" კი გრძნობს, რომ ქართველ ხალხსა და კომუნისტურ ხელისუფლებას შორის სამუდამოთ დამყარდა სრული სოლიდარობა და 1924 წლის აგვისტოს ავანტიურას აწი არასოდეს არ ექნება ადგილი. ამას კარგად გრძნობენ რამიშვილები და კომპანია. და თუ ისინი დღესაც ისევ ისე ძველებურად განაგრძობენ ქართველ ხალხის სახელით ლაპარაკს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავის პურად მასპინძლებს, ევროპის ბურჟუზიულ მთავრობებს არ აგრძნობინონ, რომ ისინი საქართველოში სრულიად უნიადაგონი არიან. ამ ვაჟბატონებმა ხომ კარგად იციან, რომ ევროპის ბურჟუაზია მათ მხოლოდ იმდენად და მანამდი დააფასებს, მანამდი მიუგდებს ლუკმა პურს, რამდენად და სანამდი მათ რამე გავლენა ექნება თვით ქართველ ხალხში. ამიტომ ქართველი ემიგრაციის ლიდერების ხალხის სახელით ევროპაში ფაფხური — ეს მათ მიერ თავდაცვის მიზნით წარმოებული აგიტაცია და მეტი არაფერია. რა ქნან ამ ვაჟბატონებმა? მათ ხომ მეტი საქონელი არ მოეპოებათ?

კიდევ ასეა. მაგრამ ჩვენში დღესაც შეხვდებით ისეთ „მამულიშვილებს", რომლებსაც ევროპიდან მიღებული გონორარი სულ სხვა კურსზე აყენებს. ასეთი, ვაჟბატონები, გამოდიან რა ძველი თქმულებით: „ვის პურსაც შიირთმევ, ხმალიც მისთვის მოიქნიეო" — ახერხებენ ზოგიერთი გულუბრყვილოების ჩათრევას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობაში. მაგრამ ასეთ მოვლენას დღეს იშვიათად აქვს ადგილი და ის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. არც ხალხისთვის და არც ხელისუფლებისათვის.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოებრივ აპარატებში მოკალათებულან და თავისი მოქმედებით ხელს უწყობენ ჟორდანია - რამიშვილის ზრახვებს. ჩვენთვის სულ ერთია შეგნებულად მოქმედებენ ეს ვაჟბატონები თუ შეუგნებლად; მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ისინი აკეთებენ არა კომუნისტური ხელისუფლების საქმეს, არამედ წყალს ასხამენ მისი მოსისხლე მტრების წისქვილზე.

იმ უამრავ წერილებში, რომელიც ჩვენ მოგვდის საქართველოს ყოველ მხრიდან, კორესპონდენტები ყველაზე მეტს ლაპარაკობენ რკინის გზაზე გაეროვნების საკითხის აბუჩად აგდებაზე. ყველა კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გაეროვნების კანონს არავითარ ანგარიშს არ უწევენ, მაგალითად თბილისის საყუდში, მთავარ სახელოსნოებში და ფბილისის სადგურის ტეხნიკურ განყოფილებაში. თურმე ყველა დასახელებულ დარგებში მიწერ - მოწერას აწარმოებენ რუსულ ენაზე. მეექვსე უბნის ლიანდაგის უფროსად მაისურაძის მაგიერ დანიშნეს ვინმე გოპაძე, რომელსაც მხოლოდ გვარი აქვს ქართული, და რომელმაც ქართულის არაფერი არ გაეგება. მას უთარგმნიენ ქართულად დაწერილ ქაღალდებს და ის რუსულად აწერს რეზოლიუციას. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს რკინის გზებზე ჩვენი ხელისუფლების დეკრეტების დარღვევას ხშირად აქვს ადგილი და თუ ამას ახლავე არ მიექცა უდიდესი ყურადღება, გაეროვნების საქმე ყინულზე დაწერილი თამასუქი იქნება და მეტი არაფერი.

ჩვენ ვსვამთ კითხვას: რატომ ხდება კანონის ასე დარღვევა? დავიჯეროთ, რომ რკინის გზების გამგეებმა არ იციან ხელისუფლების პოლიტიკა? დავიჯეროთ, რომ მათ არ იციან რკინის გზებზე გაეროვნების შესახებ გამოცემული დეკრეტების არსებობა? რა თქმა უნდა მათ ეს იციან... მაშასადამე რას აკეთებენ ის პირები და ის ორგანოები რომლების მოვალეობასაც ხელისუფლების ბრძანებების ცხოვრებაში გატარების თვალ-ყურის დევნება შეადგენს?

ნუ თუ ამ პირებმა და ორგანოებმა არ იციან, რომ ისინი, ვინც ხელისუფლების მიერ დაწესებულებათა გაეროვნების. დეკრეტებს მაუდ ქვეშა დებენ და ცხოვრებაში არ ატარებენ, უფრო საშიშარია საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვიდრე ათასი ჟორდანია - რამიშვილი და მის მიერ გაბრიყვებული მათი აგენტები.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ მოვითხოვთ, რომ სასტიკად იქნეს გატარებული ცხოვრებაში ხელისუფლების მიერ გამოცემული დეკრეტები დაწესებულებების გაეროვნების შესახებ.

სრული იმედი გვაქვს, რომ რკინის გზის სამმართველო გაუწევს ანგარიშს ამ ჩვენს განცხადებას და საქმეს გამოასწორებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით უფრო მეტი ფაქტები გმოვაქვეყნოთ.

მოხუცი რკინისგზელი.

# კაპიტალისტურ ქვეყნების დავალიანება

III.

კონტინენტალურ ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო საინტერესო და მრავალი მხრით ღირსშესანიშნავი არის გერმანიის მდგომარეობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებთა შორის თანამედროვე გერმანიის ვალების საკითხი არა მარტო იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ის სულ სხვა პირობებზეა აღმოცენებული, სულ სხვაგვარი სახე აქვს, ვიდრე ამერიკა-ინგლისის მოვალეთა კრედიტორებს, არამედ იმიტომ, რომ ამ სხვაგვარობამ ხელი არ შეუშალა მეურნეობის საერთო სვლას და, მიუხედავად მრავალი მუხრუჭებისა, გერმანია უკანასკნელ წლებში უკვე კაპიტალის ექსპორტიორიც ხდება, რაც, ცხადია, მას თანდათანობით სიძლიერის იმპულსებს უმატებს.

ცნობილია, რომ ომის დროს გერმანია წარმოადგენდა იმ ძალას კონტინენტზე, რომელიც მოკავშირეთა (ანტანტის) წინააღმდეგ ომში როგორც მატერიალურად, ისე ინტელექტუალურად, საქმის გამძღოლი და მესაჭე იყო. ეს მდგომარეობა დაედო საფუძვლად ყველა იმ ვალდებულებებს, რომელიც ომის შეწყვეტის შემდეგ ვერსალის ზავმა მას თავზე მოახვია.

ვერსალის ზავის მე-231 მუხლი (ნაწილი მე-8) შემდეგს განსაზღვრავს: „ანტანტა და მასთან დაკავშირებული მთავრობები აღნიშნავენ, რომ გერმანია სცნობს, რომ ის და მისი მოკავშირენი პასუხისმგებელნი არიან ყველა იმ ზარალში, რომელიც მოუვიდა ანტანტას და მის მოკავშირეთა ქვეყნებს გერმანიისა და მათი მოკავშირეების მიერ თავდასხმით გამოწვეული ომით“.

ეს მუხლი დაედვა საფუძვლად იმ დიდ თავსამტვრევ საკითხს, რომელიც უკვე 9 წელიწადია მსოფლიოს მაჯლაჯუნასავით აწევს და ყოველგვარ განახლებას, ფაქტიურ აღდგენას, პროგრესს ხელს უშლის. ეს საკითხია სარეპარაციო (რეპარაცია—აღდგენა) საკითხი, რომლიდანაც გამომდინარეობს გერმანიის საგარეო დავალიანება.

თვით ვერსალის საზავო ხელშეკრულებას გერმანიის ვალდებულება არ განუსაზღვრავს. ეს საკითხი მოსაწესრიგებლად გადაეცა სარეპარაციო კომისიას, მაგრამ, ვინაიდან ვალდებულებათა საკითხის მოგვარება 1921 წლის პირველი მაისიდან უნდა მომხდარიყო, ხელშეკრულებამ აიღო 1919, 1920 და 1921 წლის პირველი ოთხი თვის სავალდებულო გადასახადის. პაუშალური ჯამი, 20 მილიარდი ოქროს მარკა (§ 235), რაც გერმანიის საკითხის მთლიან გაწესრიგებამდე ფულით, ვექსილებით და საქონელით აღნიშნულ ვადამდე უნდა გადაეხადა.

მაშინ, როდესაც ანტანტას ქვეყნებს ინგლისის და შეერთებული შტატების სახით მდიდარი საკრედიტო წყარო გააჩნდათ, გერმანიის კოალიციისათვის თვით გერმანია იყო ის ძალა, რომელიც თავის მოკავშირეებს ასაზრდოებდა. ამ მოვლენამ წარმოშვა საშინაო საფინანსო ნერვების მეტის-მეტად დაჭიმვა. ათეული მილიარდები, შინაური სესხით აღებული, დაედვა საფუძვლად გერმანიის საომარ დავალიანებას. საგარეო ვალდებულება შინაურმა სესხმა შესცვალა. ბრესტ-ლიტოვსკის და ბუხარესტის ზავის მატერიალური წარჩინება მხედველობაში არის მისაღები იმდენად, რამდენადაც აქედან ამოღებული რესურსები მათი ანულიაციამდე ერთგვარ შერიგებას წარმოადგენდა. ვერსალის ზავმა ორივე გერმანიის იმპერიალიზმის მიღწეული ხელშეკრულებები გააუქმა, რასაც შედეგათ მოჰყვა მიღებული თანხების ანაზღაურება.

საშინაო სესხები ერთმა ნიშანდობლივმა მოვლენამ არარათ აქცია. ეს მოვლენა იყო—ვალიუტის ინფლიაცია. საიმპერიო, ძველ მარკებზე გამოწერილი ვალდებულებების ქაღალდების კურსის გამუდმებულმა დაცემამ სრულებით გააქარწყლა. უკანასკნელმა კურსმა 1 ოქროს მარკა=1 ბილიონ ქაღალდის მარკას (1000 მილიარდი), მთლიანი საშინაო სესხი მხოლოდ რამოდენიმე პფენინგათ აქცია. აქედან ლოღიკური დასკვნა იყო ის, რომ სესხის ქაღალდები უბრალო ქაღალდებათ გადაიქცა და უზომო ვალი სახელმწიფოს ფორმალურად მოეხსნა. ის, რაც ლოიდ-ჯორჯმა თავისი საომარი ფინანსიური პოლიტიკით,—რის მთავარი პრინციპი იყო ომის ხარჯებისათვის ომის დროსვე, გადასახადების გადიდება, ანაზღაურება,—ინგლისში მიაღწია, ინფლიაციამ გერმანიაში ღირსეულათ შეასრულა. მოქალაქე უნებლიეთ დაიბეგრა. მევახშის მიერ მიღებული თანხები იმ იმედით, რომ სარგებელს მიიღებდა და ომის გაჭივრებაზე თავის მომავალ სარენტო კეთილდღეობას აშენებდა, გაქარწყლდა. სახელმწიფომ, ცხადია, გაინთავისუფლა თავი თავისი უდიდესი ვალისაგან, მაგრამ, რომ მოვალეთა წინაშეც პირნათლად გამოსულიყო, პრინციპიალურად მიიღო ვალების გადაფასება. ნომინალური ღირებულების 5-დან 12 ნახევარ პროცენტამდე, ვალის აღების დროის მიხედვით, ძველი ქაღალდების მეპატრონეებს მიეცა ახალი ვალდებულება 4½—5½ პროცენტიანი ქაღალდები, რის გამო ათეული მილიარდები 1,8 მილიარდ ახალ სესხათ გადაკეთდა. ამ გზით შინაური ვალების პრობლემა სახელმწიფოსათვის, აშკარაა, ხელსაყრელად გადაიჭრა, მაგრამ ვერსალის ზავის ვალდებულებები სამაგიეროდ მთლიან სახალხო და სახელმწიფო მეურნეობას ასატანი დაურჩა.

საზაო დებულებათა მიხედვით, გერმანიამ ანტანტას ქვეყნებს 1925 წლის 31 აგვისტომდე შემდეგი თანხები აუნაზღაურა:

| | ოქროს მარკა |
|---|---|
| 1918 წ. 10/XI 1922 წ. 31/XII | 41.612.555.107 |
| 1923 წ. 1/I 1924 წ.31VIII | 1.949.200.000 |
| 1924 წ. 1/IX 1925 წ. 31VIII | 1.000.457.572 |
| სულ | 44.562.212.679 |
| დანარჩენი ღირებულებები, რაც სარეპარაციო ანგარიშში არ შედის, ელზას ლორენის და კოლონიების ღირებულებათა გამოკლებით | 14.304.754.744 |
| ჯამი | 58.866.967.428 |

მოყვანილ ცხრილის უკანასკნელი დატიდან იწყება ეგრეთწოდებული პერიოდი სარეპერაციო ვალებისა, გენერალი დოუესის კომისიის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით.

დოუესის გეგმა განსაზღვრავს სამ მთავარ პერიოდს პირველი ეგრედწოდებული ორი წლის მარატორიუმი 1924- 25-დან1925—26 წლამდე.

მეორე ეგრეთწოდებული გარდამავალი პერიოდი 1926—27 და 1927—28 წ.

მესამე ეგრეთწოდებულ ნორმალური პერიოდი. 1928—29 წ.

გასანაღდებელი ჯამები პერიოდების მიხედვით წლიურათ შემდეგ ნაირად არის დასაწილებული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პრიოდი | 1 მილიარდი | პირველ | წელს | 1924—25 წ. |
| „ | „ | 1,22 | „ | მეორე | „ | 1925—26 წ. |
| 2 | „ | 1,20 | „ | პირველ | „ | 1926—27 წ. |
| „ | „ | 1,75 | „ | მეორე | „ | 1927—28 წ. |
| 3 | „ | 2,5 | „ | | | ყოველწლიურათ. |

ამრიგათ, გარდა უკვე გადახდილ 58 მილიარდ მარკისა, გერმანია 32 წლის განმავლობაში იძულებული იქნება აღნიშნულ გეგმის მიხედვით იხადოს საომარი ვალდებულებები, რასაც ვერსალის ზავი აღსადგენ (სარეპარაციო) თანხებს უწოდებს, ხოლო ნამდვილად კი ჩვეულებრივ საომარ კონტრიბუციას წარმოადგენს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ანტანტას იმპერიალიზმის მიზანი იყო გერმანიის ეკონომიური სიძლიერის განადგება, მაგრამ შემდეგი წლების განვითარებამ დაგვანახვა, რომ ამ მიზნის მიღწევა არც ისე ადვილი ყოფილა. უზომო სარეპარაციო ვალდებულებებით დატვირთულ გერმანიის მეურნეობამ ხუთიოდე წლების განმავლობაში უკვე შესძლო მდგომარეობის გამოსწორება. თუ რა პირობებში და ვის ხარჯზე, ეს სხვა საკითხია. საერთოთ ცნობილია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიური სიძლიერის მოხვეჭა, პირველად ყოვლისა, მუშათა კლასის ხარჯზე ხდება. გერმანიაშიც მუშათა კლასმა აიტანა უსაშინელესი გაჭივრება. მისი ინტერესები ზვარაკად შეეწირა გერმანიის ახალი კაპიტალისტური ძლიერების აღდგენას.

ამჟამად გერმანია უკვე გამოდის კაპიტალის ექსპორტიორის როლში, საემისიო სტატისტიკა შემდეგ სურათს გვიჩვენებს: 1909—14 წლამდე საშუალოდ გერმანიის კაპიტალის ექსპორტი წლიურად უდრიდა 118 მილიონ მარკას. 1925 წელში—10, ხოლო 1926 წელში—67 მილიონ მარკას. რასაკვირველია, უცხოეთის ემისია ომის წინა დროსთან ჯერ-ჯერობით დიდი ინტერვალითაა დაცილებული, მაგრამ ის ისევ ზრდის პროცესშია, რაც გერმანიის მეურნეობის სიძლიერეს მოასწავებს. ის უკვე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის თანდათანობით იჭერს მნიშვნელოვან ადგილს.

**ივ. ნარსია.**

# ორი დღით ქუთაისში

გასაბჭოების შემდეგ ქუთაისი არ მინახავს. ამ ქალაქის შესახებ, რომელიც დასავლეთ საქართველოს ცენტრს წარმოადგენს, გავრცელებული იყო ხმები, რომ ქუთაისმა დაკარგა ის ელფერი, რომელიც საერთოდ ქალაქებს უნდა ახასიათებდესო.

რა თქმა უნდა, მენშევიკური ხელისუფლების და გასაბჭოების პირველ წლებში ეს ხმები არც უსაფუძვლო იყო, მაგრამ, თუ ზერელეთ მაინც თვალს გადავავლებთ დღევანდელ ქუთაისს, უსათუოდ დარწმუნდებით, ამ ქალაქის შესახებ გავრცელებული ხმების სიყალბეში.

ჩვენ შევეცდებით მკითხველს გავაცნოთ მოკლედ, ქუთაისის დღევანდელი მდგომარეობა და ის აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც სწარმოებს ამ ქალაქში.

მაგრამ ჯერ მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ ჩვენი რკინისგზების მოძრაობის შესახებ. რკინისგზით მოგზაურს პირველ ყოვლისა, უსათუოდ თვალში გეცემა ის ხალვათობა, რომელიც დღეს არსებობს, არავითარი კუდები, არავითარი უწესოება, დღეს ჩვენს რკინისგზის სადგურებზე აღარ არსებობს. მატარებლების რონოდებში არის სრული თავისუფლება, მგზავრობა ძალზე გაადვილებულია.

ვუცქერი ყველა ამას და ძალაუნებურად გაგონდება ახლო წარსული, როდესაც რკინისგზით მოგზაურობა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ მუშათა კლასს შესწევს უნარი თავის სახელმწიფოში შექმნას სრული წესრიგი და საკუთარი ენერგიით გაუძღვეს სოციალისტურ სამშობლოს მართვა-გამგეობას.

ქუთაისში ჩასული მოქალაქე, თუ ის წინადაც იცნობდა ამ ქალაქს, არ შეიძლება აღტაცებაში არ მოიყვანოს იმ დიდმა განსხვავებამ, რომელსაც ის აქ ნახავს.

დავიწყოთ, თუ გინდ ქუჩებიდან. ქუთაისის აღმასკომი ენერგიულად შესდგომია ქუჩების შეკეთებას, ქვაფენილების დაგებას და საერთოდ, ქუთაისის გამშვენიერებას. გამშვენიერებულია აგრეთვე ქალაქის ბაღი, რომელსაც ამშვენებს ენგელსისა და საშა წულუკიძის ძეგლები, ბაღში დაცულია საუცხოვო სისუფთავე, დიდ მუშაობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე აღმასკომის ბაღის პირდაპირ მოედანზე ლენინის ძეგლის აგება. იქ, სადაც წინად ეკლესია იყო მოთავსებული, რომლის საშუალებით სამღვდელოება აბნელებდა მშრომელი ხალხის გონებას, ამჟამად აგებულია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ლენინის ძეგლი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ძეგლი პირველია მთელ საქართველოში თავისი სიმშვენიერით. მას ამშვენებს აგრეთვე ორი კარგად მოწყობილი ტრიბუნა და პატარა ბაღი ძეგლის ფასადში. წინ გაშლილია მოედანი მიტინგების მოსაწყობად.

იქვე ახლოს მოთავსებულია ლამაზი ორსართულიანი შენობა: „გლეხთა სახლი“. შეკეთებულია თეატრის შენობა და სხვა მრავალი შენობები.

კოოპერაციის მუშაობა ქუთაისში საღ ნიადაგზე სდგას.

მაგრამ ქუთაისის აღმასკომი ამით არ კმაყოფილდება: მას სურს ქუთაისი გახდეს სამრეწველო ქალაქად. ამ მხრივ ნიადაგი უკვე მომზადებულია.

დღემდის, როგორც ვიცით, ქუთაისს არ გააჩნდა წყალსადენი. ამჟამად წყალსადენის გამოყვანის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და ახლო მომავალში შეუდგებიან მის პრაქტიკულად განხორციელებას.

ქუთაისში არსდება მთელ კავკასიაში უდიდესი ელსადგური. ამჟამად უკვე სწარმოებს წინასწარი სამზადისი მუშაობის დასაწყებად. დღეს ქუთაისის მშრომელი მოსახლეობა აღტაცებით მოელის ამ სადგურის ასაგებათ მუშაობის დაწყებას, სადაც უნდა იმუშაოს დაახლოვებით 4—5 ათასმა კაცმა. გარდა ამისა, ქუთაისს უკვე აქვს მაუდის საქსოვი ფაბრიკა, სადაც მუშაობს 500 კაცი, მუშაობა სწარმოებს აგრეთვე აბრეშუმის ქარხნის ასაგებად, სადაც იმუშავებს 1.200 კაცი. შენდება ბარიტის საფქვავი წისქვილი, რომელიც საქმეს გაუჩენს რამოდენიმე ასეულ მუშას, ასე რომ, რამოდენიმე წლის შემდეგ ქუთაისი გახდება საქართველოს ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრად, მით უმეტეს, მას შემდეგ, როცა ამას ექნება იაფი ელექტრონის ენერგია.

ამრიგად, ერთხელ კიდევ პრაქტიკულად ხორციელდება საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება მრეწველობის ადგილობრივ აღორძინების შესახებ.

---

ორიოდე სიტყვა წყალტუბოს შესახებ. ქუთაისიდან 12 ვერსის დაშორებით, მდებარეობს ეს ძველთაგანვე ცნობილი სამკურნალო წყლები. როგორც ვიცით, გასაბჭოებამდე ამ აგარაკს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ის გადაქცეული იყო იქვე მცხოვრებ იოსელიანების გამდიდრების წყაროდ; იოსელიანები არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ამ წყლების მოწყობის საქმეს. თვითმპყრობელობის დროს იოსელიანებს ვაჭრობა გაუმართავთ უცხოელებთან წყალტუბოს გაყიდვის მიზნით. უცხოელებს 13 მილიონი მანეთი შეუძლიათ პატრონებისთვის. მაგრამ საქმე მსოფლიო ომს ჩაუშლია.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ სცადა წყალტობოში ქუთაისიდან ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზის გაყვანა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება წყალტუბოში აწარმოებს დიდ აღმშენებლობითი მუშაობას. შენდება ახალი სახლები, ზოგიერთი უკვე დამთავრებულია, დამზღვევ სალაროს დაზღვეულთათვის აუგიათ საუცხოვო ორსართულიანი შენობა, აგებულია აბანო, სადაც სამკურნალოდ ახლად ჩასულმა მოქალაქემ უნდა წინასწარ იბანაოს, სამკურნალო აბანოებში სისუფთავის დასაცავად, აწყობენ ბაღს, გამოყავთ ელექტრონის სინათლე, კოოპერაციას გახსნილი აქვს წითელი სასადილო და ღამის გასათევი ნომრები და სხვ.

ქუთაისიდან წყალტუბომდე მიდის საავტომობილო გზა, რომლის გაყვანის ხელმძღვანელი უსათუოდ საყვედურის ღირსია: საქმე იმაშია, რომ გზა ძალზე ვიწროა, მასზე ძალიან საძნელოა ავტომობილისა და ურმების შევლა, რაც დიდ გაჭირვებაში აყენებს ურმებით მოგზაურ გლეხობას. შეიძლება გზის სივიწროვე გამოწვეულია ზედმეტი თანხების დახარჯვის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს დაუშვებელია. წყალტუბოს დიდი მომავალი აქვს და იქ შესაფერისი გზაც უნდა გაკეთებულიყო.

აუცილებლად საჭიროა რაიმე გამოსავალის მოძებნა, რომ გზა შეძლების ფარგლებში გაფართოებულ იქნას.

საერთოდ, წყალტუბო სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას და სათანადო მოწყობის შემდეგ ის საპატიო ადგილს დაიჭერს საბჭოთა კავშირის კურორტებს შორის.

**მგზავრი.**

# რკინის-გზის რამე-რუმე

ა.

საქართველოს რკინის-გზაზე არის ერთი დიდი სადგური სახელათ სამტრედია. აქვე არის ორთქლმავალებისათვის დიდი საყუდი. საყუდში მუშაობს ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე. თითქმის ყველა ქართველები არიან. ბევრმა ამათგანმა რუსული ენა არ იცის, მაგრამ დღეს ეს აღარც არის საჭირო.

აქ გაეროვნება სავსებით იქმნა გატარებული ცხოვრებაში, როცა საყუდის უფროსად იყო ამხანაგი ა-ლაძე.

ყველას მიეცა საშუალება თავის დედა ენაზე აწარმოოს საქმე.

გავიდა დრო და ალლაძე გადაიყვანეს ხაშურში. ჯერ კიდევ აგლაძის სამტრედიაში ყოფნის დროს, მაშინდელმა წევის დარგის უფროსმა ლეონტიევმა გამოიწერა რუსეთიდან თავისი ნათესავი ვინმე პონედელნიკოვი და დანიშნა ის საყუდის უფროსის თანაშემწეთ.

თავის თავად ეს პიროვნება არაფერს არ წარმოადგენს. ის არც წყალია და არც ღვინო. პონედელნიკოვზე უკეთესი და უფრო მუყაითები ამ თანამდებობისათვის მრავალი მოიპოვება თვით სამტრედიის მემანქანეებში.

კიდევ ყველაფერს შეურიგდებოდა კაცი, მაგრამ ამ მოხელემ არ იცის ადგილობრივი, სახელმწიფო ენა. სამტრედიაში არიან ტომით რუსები, მაგრამ ამათ შეისწავლეს სახელმწიფო ენა. პონედელნიკოვი-კი ამისათვის თავს არ იტკივებს. **მას ამისათვის არა სცალია.**

ამნაირად სამტრედიის საყუდში შეიქნა არა სასურველი მდგომარეობა.

ჯერ კიდევ ამხ. აგლაძის სამტრედიაში ყოფნის დროს რაც უშლიდა ხელს მუშაობას მისი თანაშემწის მიერ ადგილობრივი ენის არ ცოდნა. ახლა კი, როცა ქართული ენის უცოდინარ უფროს იმავე ენის უცოდინარი თანაშემწეც მიემატა, სულ არია საქმე. უფროსს არ ესმის თავისი თანამშრომლების ენა; მუშა-თანამშრომლებმა არ იციან რუსული. ფერხდება მუშაობა. ფერხდება გაეროვნების საქმე, რადგანაც ყველა ქაღალდი უნდა ითარგმნოს რუსულ ენაზე ამ უფროსისათვის. შეიქნა არა ნორმალური მდგომარეობა. ამით ფერხდება წარმოების საქმეც. თუ არ ვსცდებით ამ გარემოებას ადგილობრივმა ორგანიზაციებმაც მიაქციეს ყურადღება, მაგრამ როგორც სჩანს, უნაყოფოდ.

ამ მოქალაქის აქვე დატოვება საქმეს ავნებს. სამტრედიის საყუდს მიეცით ენერგიული და ქართული ენის მცოდნე უფროსი—სპეცი ინჟენერი.

ბ.

სადგური თბილისი სამტრედიაზე დიდია. აქ რკინისგზელთა რიცხვი ათი-ათასობით აღირიცხება.

ამ მრავალრიცხოვან რკინის-გზელთა არმიას ქონდა აქამდი მხოლოდ ერთი აფთიაქი. იყო აქ მუდამ ერთი ალიაქოთი. რიგში დგომა. მიწოლია.მოწოლია.

ამას ვიღა ჩივა. კარგათ მყოფი გვერდებს აღარ უფრთხილდებოდა, მხოლოდ სახლში ავადმყოფისათვის წამალი წაეღო. ამიტომ იდგა ის რიგში რეცეპტის ჩაბარების დროს და იდგა იმავე რიგში წამლის მიღების დროს. მიუხედავად ამისა ხან ორ დღეში ვერ ეღირსებოდა წამალს. აფთიაქი იყო ძალზე დატვირთული...

მაგრამ აი გაუღიმა რკინის-გზელებს ბედმა. განსაკუთრებით ლენინის (ნაძალადევის) უბნელებს. აქ წამოიჭიმა უზარ-მაზარი მუშათა სახლი. ორასზე მეტი ბინით.

ერთი ბინა აფთიაქსაც ერგო. აქ გაიმართა რკინისგზის მეორე აფთიაქი.

ლენინის უბნელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ხუმრობა ხომ არაა. აღარ დაგჭირდება რიგში დგომა. გვერდების მტვრევა. დროს დაკარგვა. ორმაგი მანძილის გავლა...

ერთი სიტყვით ახალი აფთიაქის გახსნა ყველა რკინისგზელისათვის მეტად სასიამოვნო მოვლენაა. მაგრამ „რაღაა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია?“ ამ ახალმა და კარგს საქმეს ცოტა ბნელიც თან დაჰყვა.

ეს ის გარემოებაა, რომ ხშირად ახალ აფთიაქში არაა ყველა წამლები და გეუბნებიან: ესა და ეს წამალი ჯერ აქ არ მოგვიტანიაო. წადი ძველ აფთიაქში და იქ მოგცემენო.

ამნაირად ეკარგება მნიშვნელობა ამ ახალ აფთიაქს. ვინც ერთხელ იგემა ასეთი პასუხი და ახალი აფთიაქიდან დაუბრუნდა ისევ ძველს, ის მეორედ აღარ მიდის ახალში. დეე ერთხელ ვიდგე რიგშიო და ისევ ძველისაკენ მიეშურება.

ცოტაოდენი ყურადღება, ცოტაოდენი დაკვირვება, ვისგანაც ჯერ არს, ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

გ.

აფთიაქზე ყველაზე უფრო ახლოს ექიმები დგანან, ამიტომ ცოტა იმათზედაც ვთქვათ. ყველაფერი რიგზე აქაც არ არის.

კიდევ ყველაფერს შეურიგდებოდა კაცი, მაგრამ რკინის-გზის საავადმყოფოსთან არსებობს ამბულატორია. მოსულ ავადმყოფთა გაშინჯვა. ყოველ დღე აუარება ავადმყოფი იყრის აქ თავს.

თითო ექიმზე მოდის არა ნაკლებ 40—50 კაცისა.

განსაკუთრებული მუშაობა აწევება უფრო მუყაით ექიმებს.

50 ავადმყოფის გაშინჯვა ხუმრობა ხომ არ არის და მარტო გაშინჯვა ხომ არ კმარა. უნდა დასწერო რეცეპტი. ჩასწერო ავადმყოფის სახელი და გვარი დავთარში. მისცე დარიგება. და თუ ავადმყოფი მუშაობიდან განთავისუფლებას მოითხოვს, მაშინ უნდა დაიწეროს საგანგებო ქაღალდი—ბიულეტენი—ყველა ეს მუშაობა ეკისრება ექიმს.

წინეთ ექიმებს ყავდათ თანაშემწეები—ფერშლები. ესენი ეხმარებოდნენ ექიმებს და უადვილებდენ მუშაობას.

დღეს ასეთი ფერშლები ზოგს უკვე მოუსპეს და როგორც ამბობენ ფერშლები აღარ ეყოლებათ ექიმებს.

ეს გარემოება დამაფიქრებელია.

ექიმს ამდენი საქმით დატვირთვა ხელს შეუშლის მის ნამდვილ მოვალეობის ასრულებაში.

ამიტომ საქმის სარგებლიანობა მოითხოვს ექიმებს ყავდეთ თანაშემწეები. აქ მომჭირნეობის გაწევა ფერშლების ხარჯზე ექიმობა—ჯანმრთელობის საქმეს ავნებს.

დ.

სამწუხაროდ, მომჭირნეობის საკითხი რკინის-გზის ადმინისტრაციას თავისებურად ესმის. ის სწევს მომჭირნეობას ისეთ ალაგას, საცა ასეთ მომჭირნეობას ზარალის მეტი არაფერი არ მოაქვს. ერთი ასეთი მაგალითი, უკვე ავღნიშნე. დავასახელოთ კიდევ რამდენიმე.

დღეს ჩვენ გვყავს ძალზე ღონიერი ორთქლმავლები. ვატარებთ მძიმე და გძელ მატარებლებს. ასეთ მატარებლებს უნიშნავენ დღეს მხოლოდ სამ მემუხრუჭეს (ერთი მთავარი, ერთი ბოლოში—მეშიშნე და ერთიც გამზეთავი). ვი).

რა თქმა უნდა, ეს სამი კაცი ვერ მოუვლის ამ სიგძე მატარებელს. ამიტომ ამ მატარებლებზე გამეფდა უწესოება—სახალხო მატარებლებზე უბილეთო მგზავრები ვეღარ დადიან. იქ ყველა რონოდას ყავს თავისი მემუხრუჭე. ამიტომ სურათი ახლა შეიცვალა. სახალხოს მაგიერ აუარება უბილეთო მგზავრები მოაწყდა საგეზო მატარებელს. რა უყოთ, რომ ერთი, ორი საათით გვიან ჩავა სახლში. სამაგიეროთ ბილეთს არ ყიდულობს.

ამით რკნის-გზას ბევრი აკლდება. ადმინისტრაცია ერთი, ორი კონდუქტორის დაკლებით მომჭირნეობს გროშებს და აგებს ათასობით.

ამას ვიღა ჩივა. როცა ასეთ დაუპატიჟებელ მგზავრებს მოეხასიათება სადმე ჩამოხტომა—იქ მოუჭერს მუხრუჭს. ეს გარემოება კი იწვევს მატარებლის გაჩერებას, გაწყვეტას, თავისი საზარალო შედეგებით

ორიოდე სიტყვა სადგურის მორიგეების შესახებაც. აქაც მომჭირნეობის რეჟიმი ვერ ტარდება გონივრულად და მიზანშეწონილად. ისეთ სადგურზე, როგორიც ავჭალა, , მცხეთა, ქსანი, კასპი და, მგონი, გორიც ღამე მორიგეობს მხოლოდ ერთი სათადარიგო მორიგე და ერთი მეისრე.

მორიგემ უნდა მიიღოს და გაისტუმროს მატარებლები. მერე იცით როგორ იმატა მატარებლების რიცხვმა? ხანდახან სადგურზე გროვდება სამი და ოთხი მატარებელი. მორიგემ უნდა გაყიდოს სამგზავრო ბილეთები, მანვე უნდა აასრულოს ტელეგრაფის სამუშაოც. ზოგ სადგურზე სალარო მესამე ოთახშია.

სამორიგეო ოთახი რჩება უპატრონოთ. მეზობელი სადგური ეძახის მას, მაგრამ აქ აღარავინაა.

მეისრეს ხშირად უხდება ისარზე-კი არა ნიშან სვეტთან წასვლა. ეს კი ერთ ვერსზეა სადგურიდან. ერთი

სიტყვით მდგომარეობა წარმოუდგენელია. რკინის-გზაზე წესიერი მოძრაობისათვის დაუშვებელია, მაგრამ მოძრაობის დარგის უფროსი ნებესოვი კიდევ უარესად ეფლება ამ უაზრო „მომჭირნეობის“ ტალღებში. ასეთი მომჭირნეობა რკინის-გზის მოძრაობის საქმეს ძალიან უშლის ხელს და თუ არა მეტის მეტი ენერგია, მეტის მეტი თავგადადება. და საქმე შეგნება რკინის-გზელ დაბალ მუშა-მოსამსახურეების მხრივ—ჩვენს გზაზე კიდევ მეტს უბედურ შემთხვევებს უნდა ქონდეს ალაგი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თბილისის სადგურის მორიგე, ის მორიგე, რომელიც მატარებლებს ღებულობს და ისტუმრებს.

ეს მოხელე პირდაპირ რაღაცა მაქანად გარდაუქმნიათ. აქ მას იმდენ ელსასმენებთან აქვს საქმე, რომ მარტო ამაზე უნდა მუშაობდეს ორი, სამი კაცი. ესეც ცოტაა. მის წინ გადაშლილია 6-8 დიდი წიგნი. ყველაში უნდა შეიტანოს საჭირო ცნობები. ესეც ცოტაა: მან უნდა მოუწეროს ხელი ყველა მომსვლელ თუ წამსვლელ რკინის გზელს სხვადასხვა ქაღალდებზე. ამანვე უნდა ჩასწეროს ყველა მატარებლების საგზაო ჟურნალში. ახლა რამდენი გარეშე პირი მოდის სხვადასხვა ცნობის მისაღებათ. მოდით თქვენ და ასეთ პირობებში იმუშავეთ ნაყოფიერათ. გაგზავნეთ და მიიღეთ ყოველ ათ წუთში მატარებელი. ადევნეთ თვალ-ყური, რომ ყველა მატარებელზე იყვის საჭირო რიცხვი მოხელეებისა.

ყველა მატარებელი იყვეს რიგზე შედგენილი.

მაგრამ რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. თუ ვისმეს არ სჯერა ერთი საათით შებრძანდით საღამო ხანს ამ მორიგესთან და თქვენ იტყვით, რომ აქ მუშაობა მართლაც ჯოჯოხეთია, რომ აქ ერთი კაცი ვერ აუვა. გადირევა, გაგიჟდება.

მოაშორეთ აქ მორიგეს ყველანაირი ჩასაწერი წიგნები. მიეცით მას კანტორის მოხელე. გაუადვილეთ ელსასმენის ქსელი. შეაერთეთ პირდაპირ ისრებთან და სხვა, რომ არ კარგოს დრო საჭირო ალაგას გამოძახებაში. მიაქციეთ ამ დარგს ყურადღება, თორემ საქმე წახდება და ბოლოს გვიან იქნება.

მუშკორი **დუღაბი.**

# ქაღალდის ქარხანა საქართველოში

ქაღალდის ქარხნის აგება საქართველოში უზრუნველყოფილია. საკავშირო საბჭომ უკვე გადასდო სათანადო თანხა მის ასაგებად. ქაღალდის ქარხანა აგებული იქნება ს. ჯვარში.

ქაღალდის ქარხნის დაარსება ისეთი დიდი სოციალური მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, რომ არ შეგვიძლია მასზე არ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. კარგა ხანია საყოველთაოდ აღიარებული ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ რაც უფრო მაღალ კულტუროსანია ერი, მით უფრო განვითარებულია მასში ქაღალდის მოთხოვნილება. პირიქით, რაც უფრო დაბლა სდგას ერი სულიერათ, იმდენათ სუსტია მასში ქაღალდის მოთხოვნილება.

ძველი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა მიმართული იყო იმისაკენ, რომ პატარა ერების ხარჯზე გაეძლიერებია „ველიკოროსიის“ ეკონომიური ფუძე, დაენგრია და გაენადგურებია პატარა ერების ეკონომიკა, გაეხა და ისინი საწველ ფურებათ, გაეზიდათ მათგან ყველა ის ნედლი მასალები, რაც კი მოიპოვებოდა მათი ბუნების წიაღში და მთელი ეს დოვლათი მის ცენტრში გადაეტანა. ასეთი ყო არა მარტო თვითმპყრობელი რუსეთის პოლიტიკა, ასეთივე პოლიტიკას აწარმოებდენ და აწარმოებენ დღესაც ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები—ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, იაპონია, და სხვები. რომელთაც დაიმორჩილეს მრავალი კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნები, დაიპყრეს მათი ბაზრები. ძლიერმა კაპიტალისტურმა ინგლისმა დაანგრია შედარებით პატარა, მაგრამ კულტურულათ ძლიერი ირლანდია, მისი მრეწველობა, ალებ-მიცემობა, ინგლისი ანადგურებს მრავალმილიონიან სახელმწიფოებს—ჩინეთსა და ინდოეთს.

ამ მტაცებლურ პოლიტიკისაგან ძირითად განსხვავდება დღეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკა. რუსეთის თვითმპყრობელობას არ გაუხსნია საქართველოში არც ერთი ფაბრიკა-ქარხანა, მას არც ერთი გროში არ დაუბანდებია ჩვენი საკუთარი მრეწველობის აღორძინებისათვის. სიტყვა საქართველო და მისი ტერიტორია ამოფვრილი იყო ძველი იმპერიის რუქიდან. დღეს ჩვენ ქვეყანას ბედმა გაუღიმა. დღეს ჩვენი ინდუსტრიალიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი—ელექტროფიკაცია, ქაღალდისა და სხვა ქარხნების აგება დღეს უკვე ფაქტია.

საქართველო ბუნებით მდიდარი ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნის უხვი ბუნება ძლიერ შეუწყობს ხელს საწარმოო ძალთა განვითარებას.

როგორც ვიცით უმთავრესი მასალა, რომელიც ქაღალდის დასამზადებლათაა საჭირო,—იძლევა ტყე. საქართველო, განსაკუთრებით დასავლეთი, სამართლიანად ითვლება ტყით მდიდარ ქვეყანათ. ძველი გამოკვლევების მიხედვით საქართველოს ტერიტორიის 42 პროც. ტყით არის დაფარული.

აქედან ცხადია, რომ საქათველო ტყით იმდენად მდიდარია, რომ მას შეუძლიან დაფაროს არამც თუ შინაური ბაზარი, არამედ შეუძლია დააკმაყოფილოს აზერბეიჯანისა და სომხეთის მთელი მოთხოვნილება, და ამასთანავე ექსპორტის საგანიც გახდეს.

მაგრამ თუ ჩვენი ქვეყნის ამ უხვ სიმდიდრეს—ტყეს—ქაღალდის დამზადების საგნათ გავხდით, მაშინ ჩვენი სამრეწველო ნაწარმოებით ადვილად შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ როგორც აზერბეიჯანის და სომხეთის, აგრეთვე საბჭოთა კავშირში შემავალი მრავალი რესპუბლიკების მოთხოვნილებანიც და აგრეთვე საზღვარ-გარეთაც ის საკმაო რაოდენობით გავიტანოთ.

პატარა ფინლიანდია, რომლის ტერიტორიის 62 პროცენტი არის ტყით დაფარული და რომელთაც შედარებით საქართველოს ტყიანობის მხრივ მეორე ადგილი უჭირავს, თავის ქაღალდის ნაწარმოებით აკმაყოფილებდა უზარმაზარ რუსეთის იმპერიას და გარდა ამისა მას გაჰქონდა ის სხვა ევროპიულ სახელმწიფოებშიდაც. ასეთივე მომავალი ექნება საქართველოსაც, თუ ქაღალდის ქარხანა მტკიცე საფუძველზე იქნა დამკვიდრებული და ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე რაციონალურად იქნა გამოყენებული.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ საქართველოს ტყეების ექსპლოატაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელოვანი, დაუფასებელია იმ მხრივ, რომ მისი სატყეო რაიონი, რომელიც მდებარეობს მდ. ენგურის შუა წელზე, უჭირავს 70.000 დესეტინა სივრცე. ამ მდინარის როლი და მისი სატრანსპორტო ღირებულება უაღრესათ მნიშვნელოვანი დაუფასებელია იმ მხრივ, რომ მისი საშუალებით შეძლება მოგვეცემა გადმოვიტანოთ ტყის მასალა ქაღალდის ქარხნის საჭიროებისათვის. სოფ. ჯვარი, სადაც ქაღალდის ქარხანა უნდა აიგოს, ის პუნქტია, სადაც მცხოვრებლებს მდინარე ენგურის საშუალებით დღესაც ჩამოაქვთ დიდ-ტანიანი ხეები. ამ მდინარის სათანადო გამოყენებას, ეჭვს გარეშეა, მიექცევა ამიერიდან ჯეროვანი ყურადღება.

**ვ—ძე.**

# ზაჰესს

შენ მორბიხარ რიყეზე, წითელ ელნათურებით,
ღამე ჩამობურული თეთრად გამოიღიმებს;
შენ მშრომელთა უბნებში სხივათ მოეპკურები,
შენი თვალის სინათლე მზეებივით ციმციმებს.
დღეს თბილისის თვალები უცნაურათ ელავენ,
ჩამწკრივებულ სიტყვებით მოსჩქეფს მუქი დარების
დღეს ელექტროს სვეტები მიხდვრებს გადასერავენ,
მთის ორწოხებს დაივლის ფიქრი გამოდარების.
მორბის შენი ელდენი მოკისკასე ალებით
დღეს რიონის ტალღებიც აისხამენ ალვირებს...
მთვარის კაშკაშს დაჩრდილავს რიონჰესის ლალები
ფიქრი შემოევლება ამოკირულ ნაპირებს.
დღეს ჩემი სიხარული უერთდება აქ რიოხს,
ჩამობურულ ქალიდან უცნაურად გიმზერით.
ზაჰეს! იქნებ მეც გნახო, გამოვყვები მაყრიონს,
და შენს მაგარ ჯებირებს შემოუვლი სიმღერით.

ი. ქოიავა.

# დილა სოფლად

დილაა...
ტურფა მაისის დილა.
მთელი სოფელი
გარეთ გამდგარა.
ისმის მშრომელთა
„ოდილა-დილა“.
დიდი პატარა,
ქალი თუ კაცი,
ვინც კი არ არის
ზანტი, ზარმაცი,—
ყველა ჩაბმულა
შრომის ფერხულში,
ქალ-ვაჟთ შეჯიბრი
აქეთ კრიმანჭულში.
ზოგნი ჰძარგლიან,
ბალჩა-ბოსტნეულს,
წვიმებისაგან
ბ ალახად ქცეულს,
ზოგნი სთოხნიან,
ზოგნი ჰბარავენ,
ზოგნიც ვენახში
ვაზებს ჰსარავენ.
მხიარულია
და კმაყოფილი
მთელი გლეხობა,
მთელი სოფელი,
რომ უფასდება
ოფლი დაღვრილი.
რომ თვითონვეა
მიწის მფლობელი.
თორემ რა იყო
წარსული ხანა,
როცა გლეხკაცი
პირუტყვსა ჰგავდა,
როცა მონობის
რკინის უღელქვეშ
სისხლით და ცრემლით
ნიადაგს რწყავდა?
გაჰქრა, წავიდა
ის დრო დუხჭირი,
განთავისუფლდა
მშრომელი ხალხი,
ყველას სიამით
ულიმის პირი,
ყველამ გაიძრო
ძაძა და თალხი.
პირქვე დაამხეს
მათ ბატონობა,
ძველი წეს-რიგი,
ძველი ქვეყანა
და სამუდამოთ
მოსპეს მონობა,
ის მაჯლაჯუნა
და ბებრუხანა.
დღეს გლეხკაცობა
ალსდგა, განკაცდა,
ქალიც შეიქმნა
სულ თანასწორი
და განამტკიცეს
ძმური კავშირი
ქარხნის მუშებს და
მეზობლებს შორის
აი რათ არის
დღეს მადლიერი
მთელი გლეხობა,
მთელი სოფელი
და რისთვისა სჭექს
შრომის სიმღერა,
მუქთა-ხორების
[illegible]მხობელი.

გ. ქუჩიშვილი.

# წერილი გორის მაზრიდან

გორის მაზრა საქართველოს ერთ-ერთი დიდი მაზრათაგანია. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქ მრავალი წევრი ყავდა. ზოგ მათგანს არ შეუწყვეტიათ მუშაობა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. ეს იყო მიზეზი, რომ 1924 წლის აგვისტოს აქაც იპოვა მომხრეები... „მუშათა კომისიის“ დაარსების დღიდანვე გორის მაზრაშიაც დაარსდა სამაზრო განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა ადგილობრივ მუშაობას და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საქართველოს არც ერთ მაზრაში არ არის ამ მხრივ იმდენი გაკეთებული, რამდენიც გორის მაზრაში. აქაური განყოფილების მუშაობის წყალობით მთელი ყოფილი მენშევიკური პარტიის აქტივი ხელისუფლებასთან და კომუნისტურ პარტიასთან არის. ეს გარემოება შეიძლება ავხსნათ ერთის მხრით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღებით და მეორეს მხრივ—სამპარტკომთან არსებულ ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების თავდადებული მოღვაწეობის წყალობით.

მთელი აქტივი მენშევიკური პარტიისა ჩაბმულია მუშაობაში და ის ხელისუფლებასთან ერთად ეწევა იმ მძიმე სამუშაოს, რომელსაც მას ქვეყნისა და მშრომელი ხალხის ინტერესები ავალებს. მაზრის ყველა რაიონებში შექმნილია განყოფილებები, რომელნიც ადგილობრივ ხელმძღვანელობენ ყოფილ მენშევიკთა კადრს და აგრეთვე აწარმოებენ მუშაობას უპარტიო გლეხობაში.

გორის სამაზრო განყოფილება თავის მხრივ აგზავნის წარმომადგენლებს რაიონებში კამპანიების ჩასატარებლად. ყოველი ახალი ინფორმაცია, ყოველი ახალი ფაქტი საერთაშორისო საქმიანობაში, მაშინვე გადაიტანება ახალგზელთა მასაში და იქ ისმება განსახილველად. მუშები და გლეხები ყოველთვის კრებაზე აქტივობას იჩენენ, გამოდიან საკამათოდ და იძლევიან შეკითხვებს. რაზედაც ისინი ამომწურავ პასუხს ღებულობენ. ერთი სიტყვით, რაიონებს ცოცხალი კავშირი აქვთ ცენტრთან. მრავალ საქმეთა მოსაგვარებლად გლეხები თვითონ ჩამოდიან მაზრაში და სამაზრო განყოფილების დასტურით სდგამენ ამა თუ იმ ნაბიჯს.

ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დიდი ყურადღებით და სიფრთხილით ეპყრობა ყოფილ მენშევიკებს. და, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ აქ ბევრი რამ გაკეთდა.

მოწინავე, საუკეთესო მუშები და გლეხები უკვე მოვიდა პარტიასთან და ზოგი არაფრით არ განირჩევა ნამდვილ პარტიულისაგან და ითხოვენ პარტიაში მიღებას. ჩვენის აზრით, დანაშაული იქნება მათი პარტიაში მიუღებლობა და გარედ დატოვება. რა თქმა უნდა, ჩვენ იმას არ ვამბობთ ამით, რომ ყველა ერთბაშად იქნას მიღებული. რა თქმა უნდა, პარტიაში პირველად მიღებული უნდა იქნას აქტიური მომუშავენი.

რომ მენშევიკური პარტიის აქტივი კომპარტიასთან და ხელისუფლებასთან არის, ამას მოწმობს ის რეზოლიუციები, რომლებიც მათ საერთო კრებებს გამოაქვს.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდით, რომ საქართველოს მენშევიკური პარტია ასცდა სწორ გზას, რომ ისინი მშრომელთა მტრების ბანაკში გადაბარგდენო,—ამბობენ ისინი. რა თქმა უნდა, ჯერ ყოველიფერი არ არის გაკეთებული. ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი და განსაკუთრებით ახალგაზრდებში, სადაც ყოველივე ჭორი და პროვოკაცია დასაყრდენს პოულობს. რაც მთავარია და რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, ეს ის არის, რომ ზოგიერთი კომუნისტური პარტიის წევრები (სამწუხაროდ, ასეთები კიდევ მოიპოვებიან) ყოფილ მენშევიკებს კარგი თვალით არ უცქერიან. გაიგონებთ ასეთ რამესაც, როგორ, მაგალითად: „საჭიროა რომ საქართველოში კვლავ განმეორდეს აგვისტოს ამბები იმისთვის, რომ საქართველო გაიწმინდოსო“. ცეკასთან არსებულ განყოფილების მოვალეობაა, რათა მიაქციოს ყურადღება ასეთ არანორმალურ მდგომარეობას და არ მიეცეს საშუალება უპასუხისმგებლო პირებს ასეთი ლაპარაკისა. ერთის მხრით, მთელი ჩვენი ძალღონე და გამოცდილება იქითკენ არის მიმართული, რომ ქართველ ხალხს თავიდან ავაშოროთ ის საშინელება, რომელსაც მას უცხოეთიდან უმზადებენ არამკითხე ჭირისუფლები, და მეორეს მხრით, უნდა ვებრძოლოთ ასეთ უპასუხისმგებლო პირების პროვოკაციას.

მ. როსებაშვილი.

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## მენშევიზმი და მუშათა კლასი

მენშევიზმი დღეს პროლეტარული რევოლიუციის დამაბრკოლებელ მოვლენად გადაიქცა. ეს, რომ ასეა ამაში ეჭვი არ უნდა შეეპაროს ყველა იმათ ვინც მარქსიზმის მეცნიერულ საფუძველზე სდგას და იზიარებს აქედან გამომდინარე ეკონომიურ და პოლიტიკურ ამოცანებს. მუშათა კლასის ღალატი ჩვეულებრივი მოვლენა იყო წინად, როცა მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, სოციალიზმის იდეიის გარშემო დარაზმული და რა გასაკვირია თუ დღეს, როცა პროლეტარიატი შემჭიდროვდა, გაიწვრთნა და როცა მისი კაპიტალისტების კლანჭებიდან განთავვისუფლების საკითხი სადღეისო საკითხად გადაიქცა, მის წინააღმდეგ ამოძრავდენ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონური ძალები.

პროლეტარიატის პოლიტიკო - ეკონომიურ მისწრაფებების წინააღმდეგ გაერთიანდენ ყველა ქვეყნების რეაქციონურ - ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული პარტიები.

კონტრ-რევოლიუციის ასეთი შემჭიდროება და მუშათა კლასის წინააღმდეგ დარაზმვა გამოიწვია იმ პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ურთიერთობამ, რომელმაც რუსეთში პოვა განხორციელება და რომელსაც მხარს უჭერს ყველა ქვეყნების პროლეტარიატი.

ქვეყანა გაიყო ორ ბანაკად. და პროლეტარიატი თავის იდეოლოგიით დაუპირდაპირა ბურჟუაზიას და მის იდეოლოგიას.

ასეთ პირობებში სად უნდა ვეძიოთ მენშევიზმი, სად არის მისი გამართლება? მენშევიზმი დღეს მუშათა კლასთან აღარ არის; ის ასცდა მარქსისტულ გზას და მისი მუშაობა სწარმოებს ბურჟუაზიის და წვრილ ბურჟუაზიის ბანაკში. აქედან იწყება მენშევიზმის ტრაგედია და მისი დაშლა. მან უარყო მუშათა კლასი და მისი ინტერესები. ასეთი გზა მენშევიზმის იმ თავითვე იყო მოცემული მის წვრილ - ბურჟუაზიულ ბუნებაში

ჯერ კიდევ რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის პროცესში მან ვერ გამოიჩინა გამძლეობა და მიუდგომლად ვერ შეაფასა ის ახალი სოციალისტური დაწყებანი, და ვერ გაამართლა თავის მოწოდება.

რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციამ იმ თავითვე ობიექტიური მიდგომით შეუდგა რუსეთის სინამდვილეში არსებულ პოლიტიკურ - ეკონომიურ და სოციალურ მოვლენების განხილვას. ამ მოვლენების სწორი შეფასებით და ყველა ნიშანდობლივი თვისებების აღნუსხვით ამ ნიადაგზე მან საფუძველი ჩაუყარა ახალ სოციალისტურ მშენებლობას, რომელმაც განვლო უკვე თავის განვითარების რამოდენიმე საფეხური და დღეს მის გაღრმავების და გაშლისათვის სწარმოებს მაქსიმალური ენერგიის გაღება.

ოქტომბრის რევოლიუციამ მუშათა კლასზე აიღო ორიენტაცია; ამ ძალებით შეუდგა ის სოციალისტურ მშენებლობას და დღეს ყველა მოწამენი გავხდით იმის, თუ რა საგრძნობი მიღწევები აქვს რუსეთის რევოლიუციას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამ დიად მუშაობას სათავეში კომუნისტური პარტია ჩაუდგა, სად იყო ამ დროს მენშევიზმი? მენშევიზმი მოსწყდა სოციალისტურ რევოლიუციას, რითაც მან ერთხელ და სამუდამოდ გასწყვიტა კავშირი მარქსიზმთან და მის პოლიტიკურსა და ეკონომიურ საფუძვლებთან. ის როგორც იდეოლოგიურად, ისე პრაქტიკულად ჩავარდა წინააღმდეგობაში და დაივიწყა მუშათა კლასი და მისი ინტერესები.

მენშევიზმის მუშათა კლასის ღალატის მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ მის წვრილ - ბურჟუაზიულ ბუნებაში. მას დემოკრატიზმი მიაჩნია პროლეტარ. პოლიტიკურ ბრძოლის მთავარ პრინციპად. ეს პრინციპი უკვე დაამარცხა ისტორიის აუცილებლობამ. სინამდვილეში მისი გამოყენების დასაბუთება მოუხერხებელი შეიქნა, რადგან ის უფრო ბურჟუაზიის ბუნებას ეგუება, ვიდრე რევოლიუციონურ პროლეტარიატისას.

სოციალ - დემოკრატიის ბელადებს დღესაც ვერ შეუგნიათ, რომ პოლიტიკური ბრძოლის ეს საფეხურები, —დემოკრატიზმი, — იმ შინაარსით, რომელსაც ისინი მის ქვეშ გულისხმობენ, არ იძლევა შესაძლებლობას სოციალიზმის მშენებლობას. პირიქით, ის ხელს უწყობს ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცების შესაძლებლობას და ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ბატონობას.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციის განვითარების პირველ ხანებში ლენინი კაუცკისთან კამათის დროს რუსეთის რევოლიუციის შეფასების შესახებ აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლის დემოკრატიზმის მთავარ პრინციპად აღიარება, მუშათა კლასის ინტერესების დაცვა და სოციალიზმის განხორციალიზმის მშენებლობისას. პირიქით, ის ხელს უწყობს პირიქით, მისი ღალატი იქნებაო. კაუცკისთან კამათის დროს ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის რევოლიუციამ თავის დასაყრდენ საფუძვლად **პროლეტარული დემოკრატია აღიარა.**

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პოლიტიკური ბრძოლის კურსი კომუნისტური პარტიის ლენინის მეთაურობით და სოციალ - დემოკრატის კაუცკის ხელმძღვანელობით დიამეტრალურად საწინააღმდეგო საფუძვლებიდან გამომდინარეობენ და სულ სხვადასხვა მიმართულებით წარიმართებიან.

დღეს ყველასათვის აშკარა შეიქნა ის გარემოება, რომ მენშევიზმის ამ ყალბ, მუშათა კლასისათვის მიუღებელ საფუძველზე დგომამ ისინი ბურჟუაზიის და ყოველგვარ რეაქციონურ ჯგუფებთან მიიყვანა.

ამ პატარა წერილში მე მინდა მოვიყვანო სოციალ-დემოკრატიის პროლეტარიატის გამცემლურ მოღვაწეობის ერთი ეპიზოდი.

ამ ბოლო ხანში გერმანიის კომუნისტურმა პრესამ გამოაქვეყნა მთელი რიგი დოკუმენტებისა. ამ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ 1917 წელს რუსეთში თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გერმანიის პროფკავშირების ბიუროკრატები და მენშევიკები ხელს უწყობდენ ბურჟუაზიას რუსეთის რევოლიუციაზე სამხედრო თავდასხმის საქმეში. მენშევიკების მოღვაწეობის საილიუსტრაციოთ მოვიყვანოთ ამ დოკუმენტიდან შემდეგი ამონაწერი. 19 აპრილს 1917 წელს გენერალ ფელდ-მარშალი გინდერბურგი გენერალ ლეიტენანტს გრენერს სწერს შემდეგს:

„ამ უკანასკნელ დღეებში მე მომახსენეს, რომ ბერლინის ქარხნებში შეუჩერებიათ სამხედრო იარაღების დამზადება. როგორც თქვენ განმარტებიდან ირკვევა, ასეთი ხასიათის მუშაობა (სამხედრო იარაღების დამზადება) ნაწილობრივად უკვე გაგიახლებიათ ფაბრიკებში. ჩემს მოვალეობათ ვსთვლი, მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ იმ ბრძოლების დროს, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს, ჩვენ მთავარ ამოცანას შეადგენს სამხედრო იარაღების შემცირება კი არა, არამედ რაც შეიძლება მისი რაოდენობის გაზრდა. ამ მიმართულებით მუშაობის შესუსტება ჩვენი თავდაცვის უნარიანობის შესუსტებას მოასწავებს და ეს დიდ ბოროტებად უნდა ჩაითვალოს ჯარის მიმართ და განსაკუთრებით—კი იმათ მიმართ, რომლებიც უკვე აკოპებშია. ამისათვის გთხოვ გააძლიეროთ სამხედრო იარაღების დამზადების საქმე და ამის შესახებ ეცნობოს სათანადო ორგანოებს, სამხედრო იარაღების დამამზადებელ ფაბრიკებს და განემარტოს მუშებს“.

თავის მხრივ გენერალმა გრენერმა მიმართა გერმანიის პროფკავშირების გენერალურ კომისიას და სხვა საკავშირო გაერთიანებებს შემდეგი წერილით: „გენე-

რალ - ფელმარშალმა გინდენბურგმა გადმომიგზავნა მომართვა, რომლებსაც გიგზავნით თქვენ პრესაში გამოსაქვეყნებლად. საჭირო არ არის განმარტებები იმის შესახებ, რომ მუშების წარმომადგენლებმა მთავარ ამოცანად უნდა მიიჩნიონ გენერალ - ფელდმარშალის მოსაზრებანი და უნაკლოდ გაატაროს ცხოვრებაში.

სამშობლოს სამეურნეო ცხოვრების აყვავების ინტერესები მოითხოვენ მუშათა ორგანიზაციების და სამხედრო უწყებების საერთო თანამშრომლობას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული ამ გამოძახილს გამოეხმაურება მუშები“.

პროფკავშირების ცენტრალურმა ორგანიზაციებმა გრენერს 26 აპრილს გაუგზავნეს შემდეგი წერილი:

„დიდ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ გენერალ ფელმარშალ გინდენბურგის წერილის გადმოცემისათვის. ჩვენ უერთდებით წერილში აღნიშნულ მოსაზრებებს. სამხედრო იარაღების დამზადების საქმის შეჩერება დაუშვებელია, რადგან მხოლოდ თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება მოგვცემს ზავს, სადაც არ არის ამ პოლიტიკური მომენტების გაგება, იქ უკიდურეს შემთხვევაში ჩვენი შვილების და ძმების თანაგრძნობა, რომლებიც ფრონტზე იმყოფებიან შეაჩერებს მუშებს ყოველგვარ ისეთ მოქმედებისადმი, რომელიც დაშლის მებრძოლთა რიგებს. ჩვენი ღრმა რწმენით ასეთი აზრია იმ მოსახლეობაში, რომლებსაც ჩვენ ვაერთიანებთ. ჩვენი მხრივ ჩვენ მზად ვართ გავატაროთ ცხოვრებაში გენერალ ფელდ-მარშალის გინდენბურგის მოსაზრებანი“.

სოციალ - დემოკრატიის მთავარი ორგანო „ფორვერტი“ 27 აპრილის ნომერში პროფკავშირების ზემოაღნიშნულ წერილის გამო სწერს:

„ამ წერილის შინაარსი ეთანხმება არა ერთხელ გამოთქმულ ჩვენ შეხედულებებსო“. აქედან ერთხელ კიდევ აშკარად დაინახავს მკითხველი სოციალ - დემოკრატიის ნამდვილ კონტრ-რევოლიუციონურ სახეს.

დღეს, როდესაც კიდევ მოიპოებიან,, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში ისეთი პირები, რომლებიც მენშევიკურ იდეოლოგიას მარქსისტულ იდეოლოგიათ ანაღდებენ და არ სჯერათ მათი კონტრ-რევოლიონური ბუნება, განსაკუთრებით იმათ უნდა ჩაუკვირდენ ზემოაღნიშნულ ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც სოციალ-დემოკრატიის მუშათა კლასის გამცემლურ მოღვაწეობის დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს.

**ნ. ჟუღელი**

## ტფილისის უოფ. ახ. მარქსისტთა აქტივის გაფართოვებული თათბირი

სამშაბათს, 31 მაისს, მუშათა სასახლეში გაიხსნა ტფ. უოფ. ახ. მარქსისტთა აქტივის პირველი გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრო 180 წევრი. თათბირი მისასალმებელი სიტყვით გახსნა ამხ. გრ. კეკელიამ.

თათბირმა დღის წესრიგში დაამტკიცა: —ა) პოლიტიკური მოხსენება; ბ) ც. ბ. წარსული მუშაობის ანგარიში და გ) მიმდინარე საკითხები.

პირველად აქტივმა მოისმინა ამხ **ტალახაძის** მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე. მომხსენებელს კრებამ დიდი ოვაციით შეხვდა.

ამხ. **ტალახაძემ** თავის ვრცელ მოხსენებაში გაითვალისწინა და გააშუქა: ა) ჩინეთის რევოლიუციის; ბ) საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის; გ) ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის და ვ) საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობის საკითხები.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის. დიდი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა მიიღო სათანადო რეზოლიუცია, რომელსაც ქვემოდ ვათავსებთ.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **გრ. კეკელიას** მოხსენება ც. ბიუროს წარსული მუშაობის შესახებ.

მიუხედავად მძიმე პირობებისა,—ამბობს მომხსენებელი,—ცენტრ. ბიურომ აქტივით შესძლო გაეკეთებია მაქსიმუმი იმისა, რისი მიღწევაც ჩვენს პირობებში იყო შესაძლებელი. დღემდე,—განაგრძობს იგი,— ჩვენ შევძელით ჩვენს გარშემო მარტო ტფილისში შემოგვეკრიბა—559 წევრი-ამხანაგები, რომელთა დიდი უმრავლესობა ჩვენი ორგანიზაციის ძველი აქტიური წევრია, ხოლო საქართველოს ფარგლებში კი ჩვენს რიგებში ვითვლით არა ნაკლებ 1.600 ამხანაგებისა. არაა ისეთი მაზრა, სადაც ჩამოყალიბებული არ იყოს სამაზრო და აგრეთვე სარაიონო ბიუროებიც და არ სწარმოებდეს გაცხოველებითი მუშაობა ამ მხრივ. მარტო ტფილისში, სადაც მუშაობა სამ რაიონად არის გაყოფილი და სადაც უნივერსიტეტიც უფრო ამათგან დამოუკიდებელ მუშაობას ეწევა, დღემდე შევსძელით სულ 68 კამპანია ჩაგვეტარებია.

ამის შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშაობის ზოგიერთ უარყოფით მხარეებს და ჩერდება მის გამოსწორებისათვის გამოსანახავ ღონისძიებებზე. მომხსენებელი საბოლოოთ ეხება მომავალი მუშაობის საკითხებს და აქტივს მოუწოდებს მომავალში გაასკეცებული ენერგიით მუშაობისაკენ.,

ამით გათავდა აქტივის პირველი სხდომა.

მეორე სხდომა დაიწყო ამხ. კეკელიას მოხსენების გარშემო კამათით, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო.

ყველა ორატორებმა წამოაყენეს მთელი რიგი პრაქტიკული კითხვებისა და უმთავრესად შეჩერდენ მომავალი მუშაობის საკითხებზე. როგორიცაა მაგ.: სამაზრო და სარაიონო ბიუროების მუშაობის, მარქსისტული პრესის; და კულტურული მუშაობის საკითხები.

ამხ. მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში ამოსწურა დარჩენილი საკითხები.

დასასრულ, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მოხუცი რევოლიუციონერი ამხ. ლ. კუპრაშვილი, რომელსაც აქტივი ოვაციით შეეგება.

სხდომის დახურვის წინ თათბიმრა პრაქტიკული წინადადების და მომავალი სამუშაო გეგმის გათვალისწინებისა და შედგენის მიზნით გამოყო სპეციალური კომისია შემდეგი პირებისაგან: 1) მ. გობეჩია, 2, ლ. სალუქვაძე, 3) გრ. კეკელია, 4) შ. გოგუა, 4) ვ. ფრანგიშვილი, 6) ან. შავგულიძე და 7) კ.ხოფერია.

დასასრულ, აქტივმა მიიღო მოწოდება ქართველ ახალგაზრდობისადმი, აგრეთვე გადასახლებულ და ციხეებში მყოფ ახალგაზრდა ამხანაგებისადმიც.

ამის შემდეგ აქტივის სხდომა ინტერნაციონალის სიმღერით და ხანგრძლივი ტაშით დაიხურა, ღამის პირველ საათზე.

**უოფ. ახ. მარქსისტი შ.**

## რეზოლიუცია

### მიღებული უოფ. ახ. მარქსისტების ტფილისის აქტივის გაფართოვებულ თათბირზე, ამხ. ტალახაძის მოხსენების გარშემო

მოვისმინეთ რა ამხ. ტალახაძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის“ შესახებ, ჩვენ უოფილი ახ. მარქსისტთა აქტივის გაფართოვებული თათბირი ვაღიარებთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლობაზე ინგლისის მთავრობის ავაზაკური თავდასხმა და ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის შეწყვეტა არის აშკარა პროვოკაცია საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ. ლონდონი დღეს გამოდის როგორც სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ახალი ჯვაროსნული ომისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ უაღრესად მწვავე მომენტებში სოციალ-დემოკრატიამ აშკარად მოიხსნა ნიღაბი და ასრულებს მებრძოლ ბურჟუაზიის დამქაშის როლს.

ამრიგად, მეორე ინტერნაციონალმა სავსებით გამოამჟღავნა თავისი რეაქციონული ბუნება მეორე კატასტროფის დროს, ის კვლავ უნდა დაადგეს 1914 წლის გზას;

სხვა გზა მისთვის არ არსებობს, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც მუშათა კლასი ღირსეულ პასუხს გასცემს თავის მოსისხლე მტრებს.

ჩვენ, საქართველოს ყოფ. ახ. მარქსისტები, რომლებიც 4—5 წლის განმავლობაში სასტიკათ ვებრძოდით საბჭოთა ხელისუფლებას მენშევიკურ ბარიკადებიდან, ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ჩვენი პოზიცია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ იყო მიმართული რევოლიუციისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ. ქართველი ემიგრაცია საქართველოს მუშების და ვლეხების სახელით და მათ ხარჯზე აწარმოებს ანტი-რევოლიუციონურსა და ანტი-სოციალისტურ მუშაობას, რითაც ისინი წყალს ასხამენ იმპერიალისტური სახელმწიფოების წისქვილზე. ამიტომ ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ არავის არ აქვს უფლება ქართველი მშრომელი ხალხის სახელით ილაპარაკოს. დღეიდან ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვდგებით საქართველოს მშრომელ ხალხთან და აქეთ მოუწოდებთ ქართველ მშრომელ ახალგაზრდობას.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა მთლიან ფრონტს.

გაუმარჯოს საერთაშორისო მლთიან პროლეტარიატს.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

### პედაგოგიურ. ინსტიტუტში

25 მაისს, მეოთხე რაიონის ბიუროს მიერ იქნა მოწვეული პედაგოგიურ ინსტიტუტის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა და თანამგრძნობთა საერთო კრება, სადაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. კ. კობახიძე, რომელმაც ფართედ გააშუქა საქართველოს განვითარების გზები და აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს ერთად ერთი გზა,—ეს არის საბჭოთა კავშირი, რომელშიც კავშირის სხვა წევრებთან ერთად საქართველომ უნდა გამოსჭედოს თავისი მომავალი. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ორატორებმა და ბოლოს მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ, პედაგოგიური ინსტიტუტში მოსწავლე ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები ვაღიარებთ, რომ საქ. ყოფ. სოც.-დემოკ. პარტიის პოლიტიკა არის საქართველოს მშრომელთათვის გამანადგურებელი; ქართველი ემიგრაციის ლიდერების ავანტიურისტული პოლიტიკას არ გაჰყვება ქართველი მშრომელი ხალხი, რაც კარგად იცის თვით ემიგრაციამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობს თავზე მოახვიოს 1924 წ. აგვისტოს მსგავსი ავანტიურა. ჩვენ, ქართველი ახალგაზრდები მზადა ვართ მთელის ჩვენის ძალ-ღონით შევებრძოლოთ ავანტიურისტების ყოველგვარ ცდას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა დიდ კავშირს!

გაუმარჯოს კომინტერნს!

---

## პროფ მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია

ინტენსიური მუშაობა და მზადება მთელ საბჭოთა კავშირის 10 წლის გამოფენაზე მუშათა და გლეხთა მხატვრულ შემოქმედების დარგში მონაწილეობის მისაღებათ.

მთავარი კომიტეტი საიუბილეო კომიტეტისა იწვევს გამოფენაზე ყველა საბჭოთა კავშირიში შემავალ რესპუბლიკებს.

სამხატვრო ნაწილში მთავარი კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა და გლეხთა თვითშემოქმედებას. სამხატვრო დარგშიაც ხელისუფლების მთავარი ხაზია ფართო მასების ხელოვნებაში ჩაბმა და თვით შემოქმედებითი კულტურული განვითარება. კომიტეტი საჭიროთ სცნობს გამოფენაზე გამოირკვეს ის, თუ რა მოხდა კავშირში ყველა შემავალ ეროვნებათა ფართო მასებში გასაბჭოების დროს.

პროფესორ მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდია, რომელიც განათლების კომისარიატის და თბილისის აღმასკომის დახმარებით არსებობს, ისეთი კერაა, სადაც ხალხური შემოქმედება ისახება და მუშათა და გლეხთა ხატვის სწავლა მტკიცედ არის დაყენებული.

სამხატვრო სტუდია ექვსი წელიწადია, რაც არსებობს. ყოველ წელს შემსვლელ მოწაფეთა რიცხვი იზრდება. ამჟამათ 205 მოწაფე სწავლობს და სულ ამ ექვსი წლის განმავლობაში შესულა 520 მოწაფე, რომელთაგან 48 სამხატვრო აკადემიაში შევიდა და დანარჩენი ზოგი მასწავლებლობს, ზოგნი კი მუშათა კლუბებში, წითელ არმიებში, სოფლის თეატრებში და სხვაგან მუშაობენ.

სამხატვრო სტუდიის გამგე შუამდგომლობს, ვინაიდან ფაქტიურად სტუდია არსებობს განათლების კომისარიატისა და თბილისის აღმასკომის ბიუჯეტზე, ფორმალურადაც მათ სასწავლებელთა რიცხვში იქნას შეტანილი.

წრევანდელი სამხატვრო სტუდიის გამოფენა, როგორც ნამუშევრებიდან სჩანს, უკეთესი იქნება წინა გამოფენებთან შედარებით და თუ მას მოემატება წარსულ გამოფენებიდან საუკეთესო ნახატები, მაშინ საკმარისი მასალა მოგროვდება მოსკოვის გამოფენისათვის, რომელიც მთავარი გამომხატველი იქნება იმისა, თუ როგორი იყო მუშათა და გლეხთა მხატვრული შემოქმედების და სწავლის პროცესი საბჭოთა საქართველოს შვიდი წლის არსებობის დროს და როგორი უნდა დავისახოთ მომავალი გეგმა ფართო მშრომელი მასების მხატვრული კულტურული განვითარებისათვის.

შ. კ.

## წერილი პროვინციიდან

### ეკაუტი და ხატისოფელი

**ბორჩალოს მაზრა** (საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ეს სოფლები დასახლებულია ქართველებით. სომხების და თათრების რიცხვი აქ ერთობ უმნიშვნელოა. აკაურტლების საქმიანობა ყანების მუშაობაა. ვენახი, ხეხილის ბაღები, მათ არ გააჩნიათ. ამის მიზეზი სარწყავი წყალის უქონლობაა. ხელისუფლების დაუხმარებლად ისინი წყალის გაყვანას ვერ შესძლებენ, რადგანაც წყალი საგრძნობლად შორს არის. სოფელში 80 კომლი მცხოვრებია. აქაური თათრები მეცხვარეობას ეწევიან. ეს გარემოება ძალიან ვნებს სოფლის მეურნეობას, რადგანაც ამ სოფლის ირგვლივ ტრიალებს და ანადგურებს პურის ყანებს. ჩემს შეკითხვაზე, მიმართეთ თუ არა მთავრობას, მიპასუხენ, რომ, მაზრის მილიციის უფროსმა 15-დე კაცი ჩაყარა ციხეში და წინადადებაც მისცა, რომ ყანები არ გააფუჭონ. მაგრამ საქმე იმავე მდგომარეობაშია, და ახლაც იმ დღეში ვართ ჩავარდნილი როგორც ვიყავით. გვიშვამდგომლე მთავრობასთან დაგვიხსნას ამ საშინელ გასაჭირიდან, თორემ მეტი აღარა დაგვრჩენია, რა, უნდა ავიყაროთ აქედან. და სადმე გადავსახლდეთო. გლეხები ითხდენ, რათა მთავრობამ დააჩქაროს მიწის მზომლების გაგზავნა. აქ მიწა არ ქონიათ გამიჯნული. ზოგი სარგებლობს დიდი ნორმით, ზოგი კი ძლიერ პატარათი, რაც იწვევს ურთიერთ შორის გაუგებრობას. მათი სიტყვით ყველანი მსურველია გაიგოს თავ-თავისი ნორმა, ამის საწინააღმდეგო არც მათ აქვთ რამე ვინც დიდი ნაჭრებით სარგებლობენო, მხოლოდ უნდათ დაყოფა ნორმებათ.

ამასთან, თხოულობენ არხის გაყვანას, რადგან უამისოთ მათი ცხოვრება შეუძლებელია. მათ განაცხადეს:

ჩვენ გაგვიგონია, რომ ბოლშევიკური მთავრობა ბევრ რამეს უკეთებს გლეხებს და მუშებსო და იმედია ჩვენც დაგვეხმარებაო. ეს მათი თხოვნა. დღეს ჩვენი ერთად ერთი იმედი ჩვენი მთავრობაა, ასეთი მთავრობა არც გვყოლია და არც იქნებაო.

ამ სოფელში არის პირველ დაწყებითი სასწავლებელი 30-დე მოწაფით. სხვა რამ კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს, გლეხკომში თავმჯდომარეთ მასწავლებელი ქალი ვერა მიქელაძისა ყოფილა; მხოლოთ გავლენა ჩაუგდია ხელში მის თანაშემწეს, რომელიც მეჯოგე კულაკია. საჭიროა ამას ამ სოფლის კომკავშირელებმა გლეხებთან ერთად მიაქციონ მეტი ყურადღება, და გამოასწორონ ეს მდგომარეობა.

ხატი სოფელის გლეხები პურის მოყვანის გარდა ეწევიან მევენახეობასაც, მათ არხიც გაუყვანიათ. აქვთ მშვენიერი სასწავლებლის შენობა. მხოლოდ ზოგი გლეხები მოწაფეებს აცდენენ მითი რომ, სწავლის დროს ნახირის საწყესავათ გზავნიან. აქ გლეხკომი არის. გლეხკომს ქონია 1500 მან., ფული, როგორც გადმომცეს, ამ ფულებით თავმჯდომარეს მოუთფია ხელი: ფულებს საპროცენტოთ აძლევს გლეხებს თუმანზე თვეში 1 მან. —1-50-მდე. ახდევინებს, და ისე ახერხებს საქმეს, რომ ეს პროცენტად აღებული მის ჯიბეში მიდის. ქვრივ - ობლებს არ ექცევა არავითარი ყურადღება დახმარება. თავმჯდომარე სააკოვს კი კარგი ქვის, სახლის აგებაც იოლათ მოუხერხებია. მისი გავლენა გლეხებში მუშტიკრივით ყოფილა მოპოებული. მრავალი მიუბერტყია და მიუგდია ამ გმირს. ეს იცის ყველამ. იციან კომკავშირელებმაც, მაგრამ სიტყვას ვერავინ უბედავსო. ამ სოფლის სასწავლებელს 3 დესეტინა მიწა ქონებია, რომლის შემოსავალიც სასწავლებელს უნდა ხმარდებოდეს. 1926 წ. ეს მიწა იჯარით აუღიათ იაკობ სააკაძეს და მის მეგობრებს, რომლებსაც იჯარის უნდა გადაეხადათ 60 ფუთი ხორბალი, მაგრამ ჯერაც არაფერი არ გადაუხდიათ. როცა მასწავლებელ თოიძეს მოუთხოვია სასწავლებლის კუთვნილი ხორბლის ანგარიში, ამ ვაჟბატონებს განუცხადებიათ, რომ დასეტყვა ყანა და არაფერი მოსულა ხსენებულ წელსო. ასე აბუჩათ ყოლია აგდებული ამ სოფლის მშრომელი გლეხობა, გლეხკომის თავმჯდომარეს, და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, აქაურ კომკავშირლებს ვერ გაუბედნიათ ასეთ ბობოლას წინაალმდეგ ზომების მიღება. დროა გამოფხიზლდენ ხალხი, და გლეხკომში აირჩიონ ისეთი კაცი, რომელიც ხალხს მოუტანს სარგებლობას.

საერთოდ ეს სოფლები ძალიან ჩამორჩენილია კულტურულათ, აქ ფანატიზმი ბუდობს. აკაურტელები „სეტყვას" ებრძვიან „საღმთოისა" და მღვდლების საშუალებით. ამისთვის მათ მოუწყვიათ 16 მაისს, საერთო ქელეხი, რაც თურმე ერთობ ძვირად დაუჯდათ. ხატისოფლელები კი, როგორც ლრუბლები გამოჩნდება, იმ წამსვე შეუდგებიან ზარების რეკას (აქ ორ ალაგასაა ეკლესია), და ეს გრძელდება დიდხანს.

ამათ გვერდზე მცხოვრები, კულტურული ნემცები, სეტყვას ებრძვიან რაკეტების სროლით და ხშირ შემთხვევაში შედეგიც აქვს. აქ მათ მიმბაძველები არა ყავთ. ადგილობრივ მცხოვრებლებში. ამ ხალხის ასე დაქვეითება იმის შედეგია, რომ არავინ ყოფილა მათთან რომ გაეწია პატრონობა და აეხილა მათთვის თვალები. დღეს საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ხალხის კულტურულათ ამაღლებისათვის და ეს ზომა საჭიროა ბორჩალოს მაზ. ქართველ სოფლებისათვისაც, რომლებიც ძლიერ დაშორებულან დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან კულტურულათ.

**გამვლელი.**

---

**ხაბუმე.** ზუგდ. მაზრა, (საკუთარ კორესპონდენტისაგან)

17 აპრილს შესდგა ხაბუმის თემში მცხოვრებ ყოფილ მენშევიკთა კრება, რომელზეც საინფორმაციო მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. ერ. კაჭარავა. მომხსენებელმა კრებას დაუხასიათა საზღვარგარეთ გახიზნული ქართველი ს.-დემოკრატიის პარტიის ლიდერების ავანტიურული ნაბიჯები, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრე ამხანაგებს, ამიერიდან ზურგი შეაქციონ აგვისტოს ავანტიურის მომწყობებს და ერთგულად ემსახურონ თავის საბჭოთა სამშობლოს. კრებამ აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, მიიღო შემდეგი დადგენილება:

მოვისმინეთ რა ამხ. კაჭარავას მოხსენება, ვაცხადებთ საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრაციის მიერ მშრომელი ხალხის გასაგონათ, რომ ვგმობთ ქართველ მენშევიკების ავანტიურულ მოღვაწეობას და სულით და გულით ვერთდებით საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც დიდი ხანია რაც გვერდში ამოუდგა ჩვენი პარტიის რჩეულმა ნაწილმა.

დღეიდან სრული ჩვენის შეგნებით, სრულიად გულწრფელად ვაცხადებთ: მზათა ვართ იარაღით ხელში ვებრძოლოთ, როგორც შინაურ ავანტიურისტებს, ისე გარეშე მტრებს, რომლებიც გაბედავენ საქართველოზე თავდასხმას".

ხელს აწერენ: მასწავლებლები: 1. ბაგრატ კვიკვინას ძე შენგელია, 2. შალვა პავლეს ძე ბერულავა, 3. ანდრო პავლეს ძე შენგელია, 4. პეტრე პავლეს ძე გულუა, სოფლის მეურნეები: 5. ერასტი დავითის ძე კაჭარავა, 6. მოსე პეტრეს ძე შენგელია, 7. სპირიდონ ტოტიას ძე ბაძალუა, 8. გიორგი მოსეს ძე ვახანია და 9. ეპიფანე ანტონის ძე შენგელია.

**მ. შენგელია.**

---

**ფოთი.** (საკუთარი კორესპონდენტისაგან)

15 მაისს, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქალ. საავათმყოფოში გარდაიცვალა სატრანსპორტო კავშირის წევრი მუშა ნიკო პაიჭაძე.

ამხ. ნ. პაიჭაძე, „რუსის" საზოგადოების არტელში 32 წელიწადი მუშაობდა და უაღრესად პატიოსანი მუშის სახელი ქონდა დამსახურებული. განსვენებული ყოველთვის იდგა პირველ რიგებში, ადგილობრივი მუშების მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლების დროს. 1913—14 წ. ის მშრომელების უბნიდან ქალაქის ხმოსნადაც იყო არჩეული და ნ. ნიკოლაძის ჯგუფის წინააღმდეგ ოპოზიციის თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა. განსვენებული 19 მაისს, მიაბარეს მიწას და მისი გვამი მრავალმა მუშებმა მიაცილეს სასაფლაომდე.

**ე. ი. ლომთათიძე.**

---

**სარედაქციო კოლეგია.**

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.